10880 ✓
საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
23 ნოემბერი
1940 წ.
№ 272 (5973)
ფასი 10 კაპ.

## პარტიული კრება ბოლშევიკური აღზრდის სკოლაა

დღეს, როცა ჩვენი მძლავრი საბჭოთა ქვეყანა ლენინ-სტალინის პარტიის მეთაურობით შეუჩერებლივ მიდის წინ, კომუნიზმისაკენ, როცა იგი განიცდის უდიდეს პოლიტიკურ და სამეურნეო აღმავლობას, მთელი სერიოზულობით დგას პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და კომუნისტთა იდეურად აღზრდის საკითხი.

განსაკუთრებით პარტიაში ახალმიღებულ წევრთა და კანდიდატთა ბოლშევიკურად აღზრდა ამჟამად პარტიული ორგანიზაციების უაღრესად საპატიო და პასუხსაგები ამოცანაა. ამ საქმეში ერთერთ დიდმნიშვნელოვან როლს თამაშობს პირველადი პარტორგანიზაციის კრება. ცნობილია, რომ კარგად მომზადებული და მაღალ იდეურ დონეზე ჩატარებული პარტიული კრება წარმოადგენს საუკეთესო სკოლას პარტიის წევრებისა და კანდიდატების ბოლშევიკურად აღზრდისათვის.

ჩვენი პარტიის XVIII ყრილობის შემდეგ დიდად გაიზარდა ქალაქკომებისა და რაიკომების პასუხისმგებლობა პარტიული კრებების მომზადებისა და ხარისხოვნად ჩატარების საქმეში. ამიტომ ბევრ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში ენერგიულად მუშაობენ პარტიული კრების ხარისხიანად ჩატარებისათვის, მის მომზადებაში ფართოდ აბამენ კომუნისტებს, გულისხმიერად ეკიდებიან კომუნისტთა წინადადებებს და დაუღალავად იბრძვიან ამ წინადადებების ცხოვრებაში გატარებისათვის.

პარტიული კრების მომზადებისა და ჩატარების კარგ ნიმუშებს იძლევიან საქართველოს ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, საქართველოს სსრ მიწსახკომის, „ზარია ვოსტოკას" კომბინატის და ბევრი სხვა პარტიული ორგანიზაციები. ისინი პარტიული კრებისათვის რამდენიმე დღით ადრე იწყებენ მზადებას. საკითხების მომზადებაში კომუნისტები აქტიურ მონაწილეობას იღებენ, დღის წესრიგში ხშირად აყენებენ საკითხებს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებიდან, კომუნისტები გაცხოველებით მსჯელობენ განსახილველი საკითხების გარშემო, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ამჟღავნებენ ნაკლოვანებებს, სახავენ პრაქტიკულ ღონისძიებებს და იბრძვიან დასახულ ღონისძიებათა მტკიცედ განხორციელებისათვის.

მაგრამ, პარტიული კრების უხარისხოდ, მოუმზადებლად და დაბალ იდეურ დონეზე ჩატარების ფაქტებს ჯერ კიდევ ბევრ პარტორგანიზაციაში აქვს ადგილი.

ამის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. ავიღოთ საქართველოს შამპანურის კომბინატის პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი—თავდომაძე). აქ პარტიული კრებების ჩატარებისათვის წინასწარ არ ემზადებიან, კომუნისტები კრებაზე პასივობას იჩენენ, ხშირად გამოაქვთ უხეირო და არაფრის მთქმელი დადგენილებანი. ამას მოწმობს 1940 წლის 14 ნოემბრის პარტიული კრების მაგალითი. ამ დღეს კრებაზე კომუნისტთა დასწრება არასახარბიელო იყო, თუმცა სხვა საკითხთა შორის დღის წესრიგში იდგა მესამე კვარტალის შედეგებისა და სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საკითხი.

საკითხი კრებაზე მოუმზადებლად გამოიტანეს და დადგენილების მე-3 პუნქტში სიტყვასიტყვით ასე ჩასწერეს: „დაევალოს სოცშეჯიბრის კომისიას (ამხ. კვალიაშვილს) სოცშეჯიბრის 3 კვარტალის შედეგები კომბინატში ურთიერთაზრების მიზნით დაუგზავნოს კომბინატის ყველა ქარხნებსა და საბჭოთა მეურნეობებს (?!)". განა ასეთი „დადგენილებით" შეიძლება რაიმე გაკეთდეს? განა პარტიული კრების ოქმში ასეთი გაუგებრობა უნდა იწერებოდეს? განა პარტიული კრების ოქმი პარტიული დოკუმენტი არ არის?

პარტიული კრებები უხარისხოდ, დაბალ იდეურ დონეზე და ზოგჯერ დემოკრატიული პრინციპის დარღვევით ტარდება თბილისის პუშკინის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის პარტიულ ორგანიზაციაში. ასე, მაგალითად, 1940 წლის 4 სექტემბერს ჩატარდა პარტორგანიზაციის კრება. დღის წესრიგში იდგა პარტბიუროს წევრების დამატებითი არჩევნების საკითხი. ბიუროს შემადგენლობაში უნდა აერჩიათ ორი ამხანაგი. კრებას უნდა დასწრებოდა პარტიის 25 წევრი, ფაქტიურად დაესწრო 6 ამხანაგი, კანდიდატი უნდა გამოცხადებულიყო 28, გამოცხადდა 18. ამრიგად, კრება, მიუხედავად იმისა, რომ არაკანონიერი იყო (მით უმეტეს საარჩევნო კრება) მაინც ჩაატარეს და ბიუროში აირჩიეს 2 ამხანაგი. უხეშად დაარღვიეს საარჩევნო ინსტრუქცია. ამავე ორგანიზაციაში მიმდინარე წლის 17 ნოემბერს ჩაიშალა პროფორგანოების საანგარიშო - საარჩევნო კრება.

საქართველოს შინსახკომთან არსებული გზატკეცილების სამმართველოს მექანიკურ სახელოსნოში პარტიული კრება იშვიათად ტარდება. არ ყოფილა შემთხვევა, რომ პარტორგანიზაციას თვითონ მოეწვიოს კრება. პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. სერებრიაკოვი ელოდება დღის წესრიგს რაიკომიდან. აქ კრებაზე საკითხებს ზერელედ იხილავენ, ყოველთვის ერთი და იგივე ამხანაგი გამოდის სიტყვით, ოქმს უხეიროდ აფორმებენ, არასაქმიანი დადგენილებანი გამოაქვთ და უგულებელჰყოფენ შესრულების შემოწმებას. კიდევ მეტი, პირველადი პარტორგანიზაციები ვალდებული არიან კრების ჩატარების დღესვე სუფთად და სწორად გაფორმებული ოქმი გადაუგზავნონ რაიკომს. ეს ორგანიზაცია კი ამას არ ასრულებს. მაგალითად, 1940 წლის განმავლობაში საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომში გაგზავნა სულ 5 ოქმი, მათ შორის 19 ივნისს ჩატარებული კრების ოქმი 30 სექტემბერს წარადგინა.

მსგავსი მაგალითებია აგურის ქარხნის (ვაკე), ზუგდიდის საშუალო სკოლისა და სხვა პირველადს პარტორგანიზაციებში.

მოყვანილი ფაქტები თვალნათლივ მოწმობენ, რომ ზოგიერთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული კრების ჩატარებას დაუდევრად ეკიდებიან, პირველადი პარტორგანიზაციის ხელმძღვანელები ივიწყებენ, რომ პარტიული კრება პარტიის წევრთა და კანდიდატთა ბოლშევიკური აღზრდის ერთერთი საშუალებაა, ივიწყებენ, რომ შესრულების შემოწმება ბოლშევიკური ხელმძღვანელობის სერიოზული პირობაა.

პირველადი პარტორგანიზაციების ამოცანაა გადაჭრით გააუმჯობესონ პარტიული კრების ჩატარების პრაქტიკა, კრების საკითხების მომზადებაში ფართოდ ჩააბან კომუნისტები, დღის წესრიგში ხშირად დააყენონ ადგილობრივი პარტიული და სამეურნეო საკითხები, რადგან პარტიულ კრებაზე მსჯელობა და საკითხების გადაწყვეტა წარმოადგენს კომუნისტთა აღზრდის ბოლშევიკურ სკოლას, უნდა მიაღწიონ იმას, რომ სისტემატურად მოაწყონ კრების დადგენილებათა შესრულების შემოწმება, რადგან შესრულების ბოლშევიკური შემოწმება კომუნისტებში ზრდის პასუხისმგებლობის გრძნობას, ხელს უწყობს პარტიისა და მთავრობის დირექტივების განხორციელებას. პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელებს უნდა ახსოვდეთ, რომ პარტიული კრების ოქმი პარტიული დოკუმენტია. ამიტომ უფრო სერიოზულად უნდა მოეკიდონ მის სუფთად და სწორად შედგენას, საქმიან ღონისძიებათა შემუშავებას, რაიკომში ინფორმაციის თავის დროზე და უშეცდომოდ გაგზავნას.

ყველა ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საქალაქო და რაიონული კომიტეტები და კერძოდ მათი საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებანი სისტემატურ დახმარებასა და ხელმძღვანელობას გაუწევენ პირველადს პარტორგანიზაციებს პარტიული კრების მომზადებასა და ჩატარებაში.

## დაიწყო კეხვის არხის მშენებლობა

**სტალინირი** („კომუნისტის" კორ.). სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეებმა პარტიისა და მთავრობის 15 ოქტომბრის ისტორიული დადგენილების საპასუხოდ ფერგანული მეთოდის გამოყენებით დაიწყეს კეხვის არხის მშენებლობა.

15 ნოემბერს არხის მშენებლობაზე მოვიდა სტალინირისა და ზნაურის რაიონების 1.500 კოლმეურნე. კოლმეურნეთა რიცხვი დღითიდღე მატულობს და მალე არხზე ყოველდღიურად 5.000-ზე მეტი კაცი იმუშავებს.

კეხვის მაგისტრალური არხი სოფ. კეხვთან იწყება. მას სათავე დიდ ლიახვში ექნება. არხის საერთო სიგრძე 20 კილომეტრია. იგი მორწყავს სტალინირის, ზნაურისა და გორის რაიონების 4.800 ჰექტარ ფართობს.

არხის მთელ სიგრძეზე აშენდება ბეტონის, რკინა-ბეტონისა და ხის 27 ხელოვნური ნაგებობა, აგრეთვე 10-მდე ხიდი. კოლმეურნეები ფერგანული მეთოდის გამოყენებით შეასრულებენ 153.000 კუბურ მეტრ მიწის სამუშაოს.

არხის ძირითადი სამუშაოები მიმდინარე წლის ბოლოსათვის დამთავრდება. მუშაობა სწარმოებს იმ ანგარიშით, რომ 1941 წლის გაზაფხულიდანვე არხი ექსპლოატაციაში შევიდეს.

იმ ფართობზე, რომელიც არხის საშუალებით მოირწყვება, გაშენებულ იქნება ხეხილის ბაღი, ვენახი, შაქრის ჭარხალი და სხვ.

## ახალი დოკუმენტები რუსეთის არმიების გამარჯვების შესახებ

წითელი არმიის საარტილერიო მუზეუმში (ლენინგრადი) XVIII საუკუნის საარქივო ფონდების გარჩევის დროს აღმოაჩინეს ახალი გამოუქვეყნებელი დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია რუსეთის არმიების გამარჯვებასთან პეტრე I და რუსეთის დიდი სარდლის ა. ვ. სუვოროვის მეთაურობით, ნაპოვნია პეტრეს თანამოსაგრეების — მენშიკოვის, ლეფორტის, დოლგორუკოვის, ბრიუსის და რეპნინის ხელნაწერები.

დიდძალი დოკუმენტები ეკუთვნის ა. ვ. სუვოროვის სარდლობით მომხდარ ომებს. ამ დოკუმენტთა შორის არის გენერლების პატაკები რუსეთის არტილერიის მოქმედების შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მასალები, რომლებიც შეეხება საარტილერიო ტექნიკის ისტორიასა და განვითარებას და ურალის ქარხნების მშენებლობას.

## მოსკოვის სკოლების საინტერესო გამოცდილება

მოსკოვის ოლქის ბევრ სკოლაში შექმნილია მხატვრული თვითმოქმედების წრეები. მათ მუშაობაში დიდ დახმარებას უწევს მოსკოვის სკოლისგარეშე მუშაობის საოლქო სახლი.

უხტომსკის რაიონის პეროვსკაიას № 6 სკოლის სალიტერატურო წრე სწავლობს კლასიკოსთა და თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებს. წრის წევრები მოხსენებებს აკეთებენ მოწაფეთა კრებებზე. ბავშვები დამოუკიდებლად ამზადებენ პატარა სცენებსა და პიესებს სალიტერატურო საღამოებისათვის. ხშირად წრის წევრები დგამენ ისეთ დიდ ნაწარმოებთა ინსცენირებას, როგორიცაა გორკის „არტამონოვების საქმე", ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი" და სხვ.

სპეციალური სექცია ამზადებს მხატვრული კითხვის საღამოებს, გრაფიკულად და მხატვრულად აფორმებს შესასწავლ მასალას.

წრე მუშაობს იმ მასალის მიხედვით, რასაც მას უგზავნის მოსკოვის სკოლისგარეშე მუშაობის საოლქო სახლი, რომელიც სისტემატურად სცემს კრებულებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს სალიტერატურო, მუსიკალური, საგუნდო და სხვა წრეების მუშაობა სკოლებში .(საკდესი).

## სამხრეთ-ოსეთმა შეასრულა თესვის გეგმა

**სტალინირი** (ტელეფონით „კომუნისტის" კორ.). სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა 21 ნოემბრისათვის გადამეტებით შეასრულა საშემოდგომო თესვის გეგმა. დათესილია 11.981 ჰექტარი, გეგმა შესრულებულია 105,6 პროცენტით.

ჯავისა და ლენინგორის რაიონებმა თესვის გეგმა შეასრულეს 15-19 პროცენტის გადაჭარბებით.

## გეგმის 132 პროცენტი

**მახარაძე**, 22 ნოემბერი (საქდესი). ნატანების საბჭოთა მეურნეობამ 21 ნოემბრისათვის მანდარინის კრეფის წლიური გეგმა 132 პროცენტით შეასრულა. მოკრეფილია 186.000 ცალი მანდარინი.

კრეფა გრძელდება.

## ქრონიკა

სსრკ სახკომსაბჭომ ამხ. **გ. პ. კოსიაჩენკო** დანიშნა სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ. (საკდესი).

## მექვანახშირეთა სრულიად-საკავშირო შეჯიბრება

### ქვანახშირის ამოღების ო:'ი დეკადის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული

ქვანახშირის მრეწველობის სახკომატის მოწინავე შახტები ნოემბერში კვლავ მაღალი დონით მუშაობენ. პირველი ორი დეკადის განმავლობაში ქვანახშირის ამოღების საშუალო სადღეღამისო გეგმა მთლიანად სახკომატის ხაზით გადაჭარბებით არის შესრულებული.

მეორე დეკადაში გეგმის გადამეტებით ქვანახშირი მოგვცეს დონბასმა, მოსკოვის საგარეუბნო აუზმა, კუზბასმა და შორეული აღმოსავლეთის შახტებმა. სავსებით შეასრულა დავალება ურალის ქვანახშირის მრეწველობამ.

ნოემბრის მეორე დეკადის პროგრამა გადამეტებით შეასრულა მოსკოვის საგარეუბნო აუზის ხუთივე ტრესტმა, დონბასის ტრესტების უმრავლესობამ „ვოსტსიბუგოლის", „ხაკასუგოლისა" და „ტყიბულქვანახშირის" ტრესტებმა.

ფართოვდება შეჯიბრება ცალკეული კომბინატების კოლექტივებს შორის. „სტალინუგოლის" (დონბასი) კომბინატმა „კუზბასუგოლს" გაუსწრო, „მოსკოვუგოლმა" გაუსწრო „ვოროშილოვგრადუგოლის" კომბინატს, ხოლო „როსტოვუგოლმა" — „ურალუგოლს". (საკდესი).

## ქვანახშირის ამოღების ახალი მეთოდი

### ინჟინერ პელიხის ძვირფასი წინადადება

**ვოროშილოვგრადი**, 16 ნოემბერი (საკდესი). ტრესტ „ბოკოვანტრაციტის" № 23 შახტის ინჟინრის ამხ. პელიხის წინადადებით, ამ დღეებში ჩატარდა ახალი —ფრონტალური მეთოდით ქვანახშირის ამოღების საინტერესო ცდა. ქვანახშირის ამოღება ლავაში ერთსადაიმავე დროს 2-3 წერტილიდან სწარმოებდა. ეგრეთწოდებული საორგანო სამაგრის ჭალებზე ჩამოჰკიდეს ლითონის სპეციალური ფარები, რომლებიც უშიშარს ჰხდიან ნაყარმნგრეველთა მუშაობას. ნანგრევი რამდენიმე უბნად გაჰყვეს. თვითეულ უბანზე დადგეს ფოთლოვანი რკინისაგან გაკეთებული სპეციალური გვერდობები. ამ გვერდობების დახმარებით ორგანშორის სამაგრის პირველი რიგიდან ქვანახშირი მეორე რიგში გადადიოდა და შემდეგ ვაგონეტებში იტვირთებოდა.

პირველმა ცდამ დაგვანახვა, რომ ლავაში მუშაობის ახალი ორგანიზაცია კარგ შედეგებს იძლევა. იმის მეოხებით, რომ ქვანახშირის ამოღება ერთსადაიმავე დროს რამდენიმე წერტილიდან ხდება, დღე-ღამეში ერთნახევარი ციკლის გაკეთება შეიძლება. მატულობს ქვანახშირის ამოღება. იმ ნაკვეთმა, სადაც ცდები ტარდებოდა, გეგმის მიხედვით დღე-ღამეში სამი ლავიდან უნდა მოგვცეს 380 ტონა ქვანახშირი, ამოღების ახალი სისტემის გამოყენების დროს კი ერთმა ლავამ დღე-ღამეში 400 ტონაზე მეტი ქვანახშირი მოგვცა. მკვეთრად მატულობს ნაყარმნგრეველთა შორის ნაყოფიერება.

ამხ. პელიხის მეთოდი ამჟამად სხვა შახტებშიც ვრცელდება.

## წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა 7.600.000 წევრი

მილიონობით საბჭოთა მოქალაქენი მონაწილეობას იღებენ ჩვენი ქვეყნის სანიტარული თავდაცვის განმტკიცების საქმეში.

1940 წლის 9 თვის განმავლობაში წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაციებმა მომზადეს „მზად ვარ სანიტარული თავდაცვისათვის" პირველი საფეხურის 2.846 ნიშნოსანი და „მზად ვარ სანიტარული თავდაცვისათვის" მეორე საფეხურის 262.000 ნიშნოსანი. 680.000 პიონერმა და მოსწავლემ ჩააბარა ნორმები ნიშანზე „იყავ მზად სანიტარული თავდაცვისათვის".

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებანი მნიშვნელოვნად გაიზარდნენ. საზოგადოებათა ახალი რაიონული ორგანიზაციები შექმნილია უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთ ოლქებში და ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებში. ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში მუშაობა დაიწყო ათი ათასობით ახალმა პირველადმა ორგანიზაციამ. 9 თვის განმავლობაში წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებებში 1.406 ათასი კაცი შევიდა. ამჟამად საბჭოთა კავშირში წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა წევრად 7.600.000 კაცი ირიცხება. (საკდესი).

## სამძიმრის დეპეშები

### აკად. ი. ა. ჯავახიშვილის გარდაცვალების გამო

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალს კვლავ მოსდის მთელ რიგ დაწესებულებათა და ცალკეული პირებისაგან სამძიმრის დეპეშები აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის გარდაცვალების გამო.

○

ლენინგრადის აკადემიკოს ნ. ი. მარის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის დირექცია და საზოგადოებრიობა ღრმად დამწუხარებულნი არიან საქართველოს დიდი ისტორიკოსის აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის გარდაცვალების გამო.

○

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს საბჭოთა ისტორიული მეცნიერების უდიდესი მოღვაწის, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის გარდაცვალების გამო. სიკვდილმა საბჭოთა მეცნიერების რიგებს გამოსტაცა ისტორიული მეცნიერების ერთერთი დიდად გამოჩენილი მოღვაწე. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გულწრფელ სამძიმარს გიცხადებთ თქვენ და განსვენებულის ოჯახს.

**აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ბერულავა**
**აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ხაშბა**

○

აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ დიდი მეცნიერის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის გარდაცვალების გამო. ივანე ალექსანდრეს-ძის გარდაცვალება მძიმე დანაკლისია საბჭოთა ისტორიული მეცნიერებისათვის, რომლის სამსახურს მან მოახმარა მთელი თავისი მშვენიერი სიცოცხლე.

**აფხაზეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ჭიჭინაძე**
**საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ბჟანია**

○

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზერბაიჯანის ფილიალის პრეზიდიუმი ღრმა სამძიმარს უცხადებს მოძმე რესპუბლიკის ფილიალის თანამშრომელთა კოლექტივს დიდი მეცნიერის აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის გარდაცვალების გამო.

მიიღეთ ღრმა გულწრფელი სამძიმარი აკადემიკოს ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის გარდაცვალების გამო, რაც მძიმე დანაკლისია საბჭოთა მეცნიერებისათვის.

**აკადემიკოსი მეშჩანინოვი.**

○

ღრმად დამწუხარებული ვარ ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის გარდაცვალების გამო.

**აკადემიკოსი გოტიე.**

○

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აზერბაიჯანის ფილიალის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები თქვენთან ერთად ჰგლოვობენ კავკასიისა და აღმოსავლეთის დიდი ისტორიკოსის აკადემიკოს ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის გარდაცვალებას, რაც მძიმე დანაკლისია სსრ კავშირის ისტორიული მეცნიერებისათვის.

საარჩევნო კამპანია უკრაინის სსრ დასავლეთ ოლქებში. **სურათზე:** აგიტატორი კომკავშირელი ეკატერინე ტონიუკი (სოფ. რიჩკა, კოსოვსკის რაიონი, (სტანისლავის ოლქი) ამომრჩევლებს უკითხავს ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულებას.

ფოტო დავიდზონისა (საკდესის ფოტო ქრონიკა).

## მარგანეცის მრეწველობის სტახანოველთა შეკრება

**ჭიათურა**, 22 ნოემბერი (საკდესი). 21 ნოემბერს შესდგა მარგანეცის მრეწველობის სტახანოველთა შეკრება, რომელსაც 500-მდე კაცი დაესწრო. ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" მმართველის მოადგილემ და მთავარმა ინჟინერმა ამხ. შ. შეყლაშვილმა გააკეთა საინფორმაციო მოხსენება მესამე კვარტალში მარგანეცის მრეწველობის მუშაობის შედეგებისა და მეოთხე კვარტალის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

— სამადნოების კოლექტივთა ენერგიული მუშაობის მეოხებით.— ამბობს ამხ. შეყლაშვილი, — მესამე კვარტალში მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების გეგმა ტრესტმა 101,9 პროცენტით შეასრულა. გადიდდა შრომის ნაყოფიერება, განმტკიცდა შრომის დისციპლინა, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. მესამე კვარტალის გეგმის წარმატებით შესრულებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარმა დიმიტროვის სახელობის სამადნოს ხელმძღვანელნი დააჯილდოვა ნიშნით „სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსანს" და 8.000 მანეთი გაიღო სტახანოველთა დასაჯილდოებლად. — ეს სამადნო მეოთხე კვარტალშიც საუცხოოდ მუშაობს. კარგი მაჩვენებლები აქვთ ორჯონიკიძის სახელობის, ვოროშილოვის სახელობისა და ბერიას სახელობის სამადნოებს.

ვოროშილოვის სახელობის შახტის მესამე უბნის უფროსმა ამხ. გ. გამყრელიძემ სთქვა, უბანი რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, მეოთხე კვარტალის გეგმას 120 პროცენტით შეასრულებსო.

შეკრებაზე გამოვიდნენ სტახანოველები, რომელთაც ახალი საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს.

შეკრებამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უზრუნველჰყოფს მეოთხე კვარტალის გეგმის წარმატებით შესრულებას.

შეკრებაზე გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა დიმიტროვის სახელობის სამადნოს კოლექტივს.

## ბრძოლა დატაცებასა და გაფლანგვასთან

საბჭოთა კანონმდებლობით სასჯელის სასტიკი ზომებია დაწესებული გამფლანგველების, სპეკულანტებისა და სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთათვის. მაგრამ ბევრია ისეთი შემთხვევა, როდესაც სასამართლოები ლიბერალურად ეპყრობიან ასეთ დამნაშავეთ და მსუბუქი სასჯელი გამოაქვთ მათთვის.

ის ზარალი, რაც სახელმწიფომ გაფლანგვისა და დატაცებისაგან ნახა, ანაზღაურებულ უნდა იქნას გამფლანგველთა ქონებით. ზოგიერთი სასამართლო კი ან სრულებით არ იხსენიებს ამას თავის განაჩენში, ანდა საჭირო ზომებს არ ხმარობს იმისათვის, რომ გამფლანგველთ დააბრუნებინოს მათ მიერ მითვისებული თანხა. მაგალითად, ვორონეჟის ოლქის სასამართლოებში დაგროვებულია 1800-ზე მეტი აღსასრულებელი ფურცელი, რომლების მიხედვითაც თანხა არ არის გადახდევინებული, კიროვის ოლქის სასამართლოებში —დაახლოებით 900, მოსკოვის ოლქისაში — 1000-ზე მეტი და სხვ.

ნაცვლად იმისა, რომ ჯეროვანად მოჰკიდონ ხელი გამფლანგველთა ქონების მოძებნას, სასამართლოს აღმასრულებელნი ხშირად სჯერდებიან ფორმალურად აქტების შედგენას იმის შესახებ, რომ ეს გამფლანგველნი ვალაუვალნი არიან და უშედეგოდ აბრუნებენ უკან აღსასრულებელ ფურცლებს.

სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ მთელი რიგი ღონისძიებანი დასახა ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. კერძოდ, გადაწყდა, რომ შემოწმებულ იქნას სწორად დაუბრუნებიათ თუ არა აღსასრულებელი ფურცლები სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისათვის. შემოწმდება აგრეთვე გაფლანგვისა და დატაცების საქმეები, რომლებიც სასამართლოებმა 1940 წელს მოსპეს და ის საქმეები, რომელთა შესახებაც გამართლების განაჩენია გამოტანილი ანდა შეფარდებულია შრომითი გამასწორებელი მუშაობა. ყველა არასწორად გადაწყვეტილი საქმე გაპროტესტებულ იქნება. (საკდესი).

## საბჭოთა კავშირში

### ვილნიუსის ახალი საწარმონი

მიმდინარეობს ლიტვის სსრ დედაქალაქის — ვილნიუსის მრეწველობის აღდგენა და გაფართოება. იქმნება ორი დიდი სამკერვალო ფაბრიკა, სადაც სამუშაოს მიიღებს 1500 კაცი, აგრეთვე სატრიკოტაჟო საწარმოები. ფეხსაცმლის ფაბრიკაში, რომელიც ახლა ეწყობა, იმუშავებს 800 კაცი. უახლოეს დროში ამუშავდება სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და დეტალების ქარხნები. ვილნიუსის პატარა სტამბები ერთ დიდ სტამბად გაერთიანდება. გარდა ამისა, ეწყობა 3 ახალი დიდი სტამბა.

### მოწაფეებმა მოიგეს ავტომობილი

მიჩურინსკის (ტამბოვის ოლქი) № 13 სკოლის მე-3 კლასის მოწაფეებმა, რომლებმაც ერთად შენაგროვები ფულით იყიდეს თავდაცვა-ავიაქიმის მე-14 ლატარიის სამმანეთიანი ბილეთი, მოიგეს მსუბუქი მანქანა ან 10.000 მანეთი ფულად. მათ გადასწყვიტეს ფულად მიიღონ მოგება და ორი ათასი მანეთი შეიტანონ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდში, ორი ათასი მანეთი—პიონერთა ოთახის მოსაწყობად და ექვსი ათასი — ამ ოთახისათვის სამხედრო სასწავლო ხელსაწყოთა შესაძენად.

## საქდესის ცნობა

ამერიკის სააგენტო იუნაიტედ პრესი იუწყება, რომ გერმანული გაზეთის „ჰამბურგერ ფრემდენბლატის" მტკიცებით უნგრეთის შეერთება სამი სახელმწიფოს პაქტთან მიღწეულია თითქოს „საბჭოთა კავშირის თანამშრომლობითა და სრული თანხმობით".

საქდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს ცნობა სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს.

## უკანასკნელი ცნობები

## ინგლის-გერმანიის ომი

### გერმანიის ცნობები

**ბერლინი**, 22 ნოემბერი. უმაღლესი სარდლობა იუწყება: „20 ნოემბერს ღამით გერმანიის ავიაცია წარმატებით დაესხა თავს ლონდონს, ბირმინჰამს, ცენტრალური ინგლისის სამხედრო საწარმოებს, სანავსადგურო ნაგებობებსა და მომარაგების საწარმოებს სამხრეთ ინგლისში. მრავალ ადგილას ხანძარი გაჩნდა.

გუშინ ყუმბარა დავაყარეთ ლონდონს და მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტებს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში.

21 ნოემბერს ღამით ინგლისის თვითმფრინავები გერმანიის ტერიტორიაზე არ შემოფრენილან. გერმანიის ორი თვითმფრინავი უგზო-უკვლოდ დაიკარგა".

**ბერლინი**, 22 ნოემბერი. როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, გუშინ გერმანიის თვითმფრინავებმა წარმატებით დაუშინეს ყუმბარა ლონდონში სიტის და ერთერთ ვაგზალს; შემჩნეულ იქნა, რომ ყუმბარები პირდაპირ მოხვდა კემბრიჯის, იფსვიჩის და ისტბორნის სარკინიგზო ნაგებობებს და რამდენიმე ქარხანას ბრაიტონისა და საუტენდის მახლობლად.

21 ნოემბერს ღამით სხვადასხვა ყალიბის დიდძალი ყუმბარა დავაყარეთ ლონდონს, ბირმინჰამს, კოვენტრის, ბრისტოლსა და საუტჰემპტონს, სადაც მრავალ ადგილას ხანძარი გაჩნდა.

### ინგლისის ცნობები

**ლონდონი**, 22 ნოემბერი. ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ გუშინ დღისით გერმანიის რამდენიმე თვითმფრინავმა ყუმბარები ჩამოჰყარა აღმოსავლეთი და ცენტრალური ინგლისის რამდენიმე პუნქტში, აგრეთვე სამხრეთ ინგლისის ერთერთ ქალაქში. ზარალი უმნიშვნელოა, მსხვერპლი დიდი არ არის.

21 ნოემბერს ღამით გერმანიის ავიაცია მცირე აქტივობას იჩენდა. თავდასხმით გამოწვეული ზარალი უმნიშვნელოა. დღეს, გათენებისას, გერმანიის ავიაციის მოქმედება რამდენადმე უფრო აქტიური იყო, მაგრამ მატერიალური ზარალი და მსხვერპლი დიდი არ არის.

გუშინ ინგლისის თავზე გამართული ბრძოლის დროს ჩამოგდებულია გერმანიის ერთი ყუმბარმშენი. ინგლისის ავიაციამაც ერთი თვითმფრინავი დაჰკარგა.

**ლონდონი**, 22 ნოემბერი. როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 21 ნოემბერს ღამით გერმანიის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ცენტრალური ინგლისის აღმოსავლეთი ნაწილის ერთერთ ქალაქს; ეს თავდასხმა ომის მთელი დროის განმავლობაში ყველაზე ხანგრძლივი იყო, მაგრამ ქალაქში დაჭრილია სულ 7 კაცი. დიდძალი ყუმბარა ქალაქის განაპირა უბნებში დაეცა, რასაც არავითარი ზარალი არ გამოუწვევია. (საკდესი).

## საბერძნეთ-იტალიის ომი

**ნიუ-იორკი**, 22 ნოემბერი. ამერიკის პრესის გადმოცემით, საბერძნეთის ჯარის ნაწილებმა რამდენიმე სახლი დაიკავეს კორჩის გარეუბნებში. მოსახლეობა ქალაქიდან გავიდა. კორჩაში სურსათის მწვავე ნაკლებობაა.

იტალიის მოტორიზებული კოლონის ცდა—პოგრადეციდან შეჭრილიყო კორჩაში, უკუგდებულ იქნა. კორჩის რაიონში ბერძნებმა ხელთ იგდეს ტყვეები, სურსათი და სამხედრო მასალა.

იტალიის ძირითადი ძალები კორჩიდან უკან იხევენ. ბერძნებმა ახალი შეტევა დაიწყეს პოგრადეცსა და ოხრიდის ტბაზე და ცდილობენ ფლანგიდან შემოუარონ კორჩის დამცველებს. იტალიის ჯარის ნაწილებმა, რომლებიც უკან იხევენ, დიდძალი საომარი მასალა დასტოვეს.

იტალიის არმიის ძირითადი ნაწილები, რომლებიც ფრონტის სამხრეთ სექტორში იმყოფებიან, ფართო ველზე დაბანაკდნენ არგიროკასტრონის გადაღმა და სანგრებს სთხრიან.

ბერძნების ჯარი იტალიის 3 გამაგრებული პუნქტის ზურგში შეიჭრა არგიროკასტრონის მახლობლად. საბერძნეთის მოწინავე პატრულები ქალაქიდან 3 მილის მანძილზე იმყოფებიან.

ცენტრალურ ფრონტზე პინდის მთების რაიონში ბერძნებმა ორი კილომეტრით წაიწიეს ერსეკეს მიმართულებით.

გუშინ დილით იტალიის 16 ყუმბარმშენმა, რომლებიც ძალიან დაბლა დაფრინავდნენ, ყუმბარა დაუშინეს საბერძნეთის პოზიციებსა და ბაზას კორჩის ჩრდილოეთ - დასავლეთით. მოკლულია 17 და დაჭრილია 40 ბერძენი. ბრძოლის დროს ჩამოგდებულია იტალიის 4 ყუმბარმშენი.

**ლონდონი**, 22 ნოემბერი. რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, ინგლისის და საბერძნეთის თვითმფრინავები საკვებ პროდუქტებს აწვდიან პარაშუტებით საბერძნეთის ჯარს, რომელიც ალბანეთის მთებში მიიწევს.

**ბერლინი**, 22 ნოემბერი. როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, 50 ბერძნისაგან შემდგარი რაზმი გადმოვიდა გაიდაროს კუნძულზე (დოდეკანეზის არქიპელაგი), რომელსაც 3 დარაჯი იცავდა. მაგრამ იტალიის დამხმარე ძალების მოსვლის შემდეგ ბერძნები გაიქცნენ. (საკდესი).

# ქართლის რაიონების შემდგომი აყვავებისათვის

## ქართლში მევენახეობის განვითარებისათვის

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის 15 ოქტომბრის დადგენილება ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის, შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ, კიდევ უფრო ნათელჰყოფს იმ უდიდეს ყურადღებას, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება მეხილეობისა და მევენახეობის მიმართ იჩენენ. ამ დადგენილებაში ნათლად მოსჩანს ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდი ზრუნვა კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის ზრდისათვის.

ქართლის რაიონებში მევენახეობის განვითარების სტალინური გეგმა ითვალისწინებს 1941-1945 წლების განმავლობაში 8.372 ჰექტარი ახალი ვენახების გაშენებას. ამ გეგმის რეალიზაციისათვის ქართლის კოლმეურნეობებმა ყველა საშუალება უნდა გამოიყენონ. ცნობილია, რომ ქართლის ტერიტორია დასერილია მთებითა და ქედებით. ამის გამო დაბლობი ადგილები ბევრგან მოკლებულია ჰაერის თბილ დინებას, ქართლის ჰავა ხშირად მკაცრია.

ვენახისათვის პირველ რიგში, რასაკვირველია, უნდა გამოვიყენოთ ის ფართობები, რომლებიც ამა თუ იმ რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებს მოეპოვებათ შედარებით დაცულ ხეობებსა და ველებში. კარგია არაგვის, ქსნის, ლეხურის, თეძამის, ლიახვისა და სხვა მდინარეთა ნაპირები. შემდეგ კი გამოყენებულ უნდა იქნას შედარებით ნაკლებად დაცული ადგილები, სადაც ვენახის მოვლის აგროტექნიკა უნდა გადაისინჯოს და ადგილობრივი პირობების მიხედვით შესწორდეს.

ახალი ფართობების შერჩევა ძირითადად უნდა მოხდეს სარწყავი ნაკვეთების ხარჯზე ან საპერსპექტივო სარწყავ ადგილებზე. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფართობების ათვისებას, რომლებზეც წინათ ვენახი ყოფილა გაშენებული და შერჩენილი აქვს ძველი სახელწოდება — ნაზვრევი, ნავენახარი და სხვ. ან კიდევ ისეთი მიკრორაიონები, სადაც ვენახი განსაკუთრებით კარგად ვითარდება.

სამრეწველო მევენახეობის განვითარების თვალსაზრისით ქართლი შეიძლება 2 ნაწილად გაიყოს: ზემო და ქვემო ქართლად. ქვემო ქართლში უნდა მოვაქციოთ მცხეთის, კასპის, ნაწილობრივ გორის, დუშეთისა და თბილისის რაიონები. ზემო ქართლში კი — ქარელის, ხაშურისა და ბორჯომის რაიონები. ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარების მხრივ, ჩემის აზრით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ქვემო ქართლს, რადგან იგი მდიდარია მყუდრო ხეობებითა და ველებით მტკვრის როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა მხარეზე, სახელდობრ: საგურამო, წინამძღვრიანთკარი, ჭადიჯვარი, წილკანი, ძალისი, მუხიზანი, აღაიანი, ლამისყანა, ქვემო ჭალა, ხოვლე, წითელქალაქი, ატენი, ხიდისთავი, მეჯვრისხევი და სხვ. აღნიშნული ადგილების მეტი ნაწილი იძლევა მსუბუქ და საშუალო სიმაგრის ევროპული ტიპის თეთრ სუფრის ღვინოებს.

ვენახების ჯიშობრივი სიწმინდის აღდგენისა და ახალი საშამპანურე ვაზის ჯიშთა დანერგვისას ცალკეული რაიონების ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხზე საქართველოს სსრ მიწსახკომისა და კვების მრეწვ. სახალხო კომისარიატის დადგენილებათა ურყევად შესრულებას. აქ საშამპანურე მასალის მომცემი ჯიშებიდან ფართოდ შეიძლება განვითარდეს: მუხრანული, პინო ფრანი და პინო შარდონე, სუფრის ღვინოებისათვის კი — გორული მწვანე, ჩინური, ქვიშხური, რქაწითელი და სხვ.

რაც შეეხება ქართლის ზემო ნაწილს, აქ უნდა გაშენდეს ქართლის ადგილობრივი ძვირფასი სალვინე ჯიშები, ჰიბრიდების გამრავლების არსებული პრაქტიკა უნდა აღიკვეთოს.

ვენახების მოვლა-პატრონობისა და საერთოდ ამ კულტურის აგროწესების საუკეთესოდ გატარების მხრივ ქართლის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჯერჯერობით არა სახარბიელო მდგომარეობაა. ეს დაჩქარებით უნდა გამოვასწოროთ. ახალი ვენახების რაც შეიძლება უკეთ გაშენებასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არსებული ვენახების დროზე და სანიმუშო დამუშავებას. უნდა მივაღწიოთ უხვ და მაღალხარისხოვან მოსავლიანობას.

**გ. გაბაშვილი**

საქ. მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი.

## ხეხილის ბაღებს არ უვლიან

**თიანეთი** („კომუნისტის“ კორ.). თიანეთის რაიონში ხეხილი საუკეთესოდ ხარობს. ამჟამად მარტო ვაშლი და მსხალი 95 ჰექტარზეა გაშენებული.

პარტიისა და მთავრობის 15 ოქტომბრის ისტორიული დადგენილება ამ მხრივ კიდევ უფრო დიდ პერსპექტივებს სახავს. ხეხილის ბაღების ფართობი თიანეთის რაიონის კოლმეურნეობებში ყოველწლიურად იზრდება, მაგრამ მათს მოვლას ნაკლები ყურადღება ექცევა.

სოფ. თიანეთის კ. ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში რამდენიმე წლის წინათ გააშენეს ბაღი, მაგრამ იმის გამო, რომ მის მოვლა-პატრონობაზე ხელი აიღეს, ნამყენის უმრავლესობა გახმა. კოლმეურნეობის ყოფილმა თავმჯდომარემ ი. ნარიმანიძემ, ნაცვლად იმისა, რომ ბაღი გამოერგო, ნამყენი ამოყარა და ფართობი მოხნა.

სოფ. ქვემოტის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — ი. დოლიაშვილი) მიმდინარე წელს გაშენებული ბაღი არ შეღობეს და ის პირუტყვმა გაანადგურა. სოფ. ზარიძეების ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობაში ბაღი შემოუღობავ ნაკვეთზე გააშენეს. შიგ პირუტყვი თავისუფლად დადის.

ასეთივე მდგომარეობაა ვეძათხევის, ახალსოფლის და სხვა კოლმეურნეობებშიც.

თიანეთის რაიმიწგანი ამ გარემოებას სათანადო ყურადღებას არ აქცევს.

**ი. ბეჟანიშვილი**

## საუკეთესოდ გამოვაზამთროთ პირუტყვი

ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობები გაცხოველებით ემზადებიან პირუტყვის გამოზამთრებისათვის. პირუტყვისათვის სხვა საკვებთან ერთად მათ გამოყოფილი აქვთ 122.841 ცენტნერი უხეში საკვები. გეგმით გათვალისწინებული 300 ჰექტარის ნაცვლად თივა აღებულია 520 ჰექტარზე.

კარგ მაგალითს იძლევა ზანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე — დ. გვარამია). ამ კოლმეურნეობაში წელს მერძეობის ფერმისათვის 35 სული პირუტყვის ტევადობის სადგომი აშენდა. კონცენტრირებული და უხეში საკვები საკმაო რაოდენობით მოიმარაგეს.

თეკლათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — ა. გვარამია) ააგეს 50 სული ძროხის და 70 სული ცხენის ტევადობის სადგომები. ძველ სადგომებს მიმდინარე რემონტი გაუკეთდა. მთავრდება საღორის მშენებლობა.

პირუტყვის გამოზამთრებისათვის კარგად ემზადებიან აგრეთვე პირველი მაისის კოლმეურნეობა „გაერთიანების“ (თავმჯდომარე — ქ. შამათავა), სოფ. ფოცხოს სტალინის სახელობის (თავმჯდომარე — ქ. ყურაშვილი) და ახალსოფლის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე — ა. ხუხია) კოლმეურნეობები.

პირუტყვის გამოზამთრებისათვის არადამაკმაყოფილებლად ემზადება სოფ. ეკის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე — ს. ადამია). ამ კოლმეურნეობაში წელს სადგომები უნდა აეგოთ 35 ძროხისა და 75 ხარ-კამეჩისათვის. აღნიშნული მშენებლობისათვის კოლმეურნეობას მიეცა სახელმწიფო კრედიტი 11.200 მანეთის რაოდენობით, მაგრამ საქმეს ჯერაც არ შესდგომიან. გეგმით გათვალისწინებული სადგომების მშენებლობა ჯერ არც სოფ. ხორშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას დაუწყია.

როდემდის უნდა გაგრძელდეს ეს მდგომარეობა?

**ე. გუგუნავა**

## მეცხოველეობის მოწინავე ფერმა

**ხულო**, (საქდესი). სოფ. დიოკნისის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობა წარმატებით იბრძვის განსაზოგადოებული მეცხოველეობის განვითარებისათვის.

მსხვილფეხა რქიანი საქონლის ფერმა სავსებით მზად არის გამოზამთრებისათვის. საქონელი მოთავსებულია თბილ და სუფთა ბინებში, მომარაგებულია საჭირო რაოდენობით უხეში და კონცენტრირებული საკვები, ჩადებულია 10 ტონა სილოსი.

საქონლის ჩინებული მოვლა-პატრონობის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ძროხების წველადობა. ადგილობრივი ჯიშის ძროხა დღეში საშუალოდ 10 ლიტრამდე იწველის.

## გეგმის 121 პროცენტი

**ჭიათურა**, 21 ნოემბერი (საქდესი). საჩხერის რაიონის კოლმეურნეობებმა საშემოდგომო ხორბლეულის თესვა ვადაზე შვიდი დღით ადრე შეასრულეს 121 პროცენტით. დათესილია 2284 ჰექტარი ხორბლეული.

## ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის გაწვევა (მობილიზაცია) სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში

## თბილისში დამთავრდა ახალგაზრდობის გაწვევა

22 ნოემბრისათვის თბილისში დამთავრდა ახალგაზრდობის გაწვევა (მობილიზაცია) ახალ სასწავლებლებში. საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახკომსაბჭოს დადგენილების შესაბამისად, ქალაქის სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში მიღებულია 1.400 ახალგაზრდა (თბილისში გაწვეული ახალგაზრდობა საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში არ იგზავნება).

ახალგაზრდობა უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას სახელმწიფო შრომითი რეზერვების შესახებ. იმ პირთა რიცხვმა, რომლებმაც ქალაქის გამწვევ კომისიებში შეიტანეს განცხადება, ბევრად გადააჭარბა მისაღებ კონტინგენტს. 1.400-ვე მოზარდი, რომლებმაც ქ. თბილისის რაიონის გამწვევ კომისიებში გაიარა, მოხალისეა.

თბილისში მოწყობილია 5 სახელოსნო სასწავლებელი, ერთი რკინიგზის სასწავლებელი და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების 2 სკოლა. ისინი სხვადასხვა სპეციალობის მუშაკთა კადრებს მოამზადებენ რკინიგზის ტრანსპორტისა, მანქანათმშენებლობის, პოლიგრაფიული, საფეიქრო, ფეხსაცმლისა და მრეწველობის სხვა დარგებისათვის.

თბილისში გახსნილ ახალ სკოლებსა და სასწავლებლებში სულ 2.740 კაცი ისწავლის.

1 დეკემბერს სტუმართმოყვარულად გაიღება ახალი სასწავლებლებისა და სკოლების კარები.

## თბილისის რკინიგზის სასწავლებელში

ათი წლის წინათ აქ მოშიშვლებული ველის მეტი არაფერი იყო. ზუსტად ათი წელია, რაც აქ საძირკველი ჩაეყარა ორ კარგა მოზრდილ შენობას, მალე კედლები აღიმართა და ორმა შენობამ დაამშვენა ლენინის სახელობის რაიონი. იქ ლენინური კომკავშირის სახელობის რკინიგზის საფაბრიკო-საქარხნო სკოლა გახსნეს.

ამიერიდან კი აქ იქნება თბილისის რკინიგზის სასწავლებელი, სადაც აღიზრდებიან ჩვენი მძლავრი სოციალისტური ტრანსპორტის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. იგი რკინიგზის ტრანსპორტს მისცემს ახალგაზრდა ზეინკლებს, ხარატებს, ორთქლმავლის მემანქანეთა თანაშემწეებს, ელექტრომონტიორებს, მჭედლებს, მექვაბეებს, გზის ბრიგადირებს.

უცხო კაციც კი უკითხავად მიაგნებს ამ სასწავლებელს, რადგან მის კორპუსებსა და ვრცელ ეზოში ახალგაზრდული სისხლსავსე ცხოვრება სჩქეფს. გამწვევ კომისიას მართლაც რომ კარგად შეურჩევია ჯანსაღი, კუნთმკვრივი, მკვირცხლი ჭაბუკები. მათ ხალისი, სიხარული და მხიარულება მოუტანიათ სასწავლებლის მიდამოებში. მოუთმენლად ელოდებიან სწავლის დაწყებას.

სასწავლებლისათვის გულდასმით შეარჩიეს პედაგოგიური კადრებიც. სასწავლებლის დირექტორად დანიშნულია თავისი საქმის კარგად მცოდნე, ენერგიული მუშაკი ამხ. ი. ბიბილაშვილი. იგი ორთქლმავლის გამოცდილი მემანქანე იყო. შემდეგ ინსტიტუტი დაამთავრა და ინჟინერ-მექანიკოსი გახდა. ის ახალგაზრდებს ასწავლის საორთქლმავლო, სავაგონო და სახარატო საქმეს. თავისი საქმის სიყვარულით გამოირჩევა ახალგაზრდა სპეციალისტი ამხ. გ. ჩხენკელი. იგი ამ საფაბრიკო-საქარხნო სკოლის აღზრდილია. ამასწინათ დაამთავრა საქართველოს კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტი და ახლა რკინიგზის სასწავლებლის სასწავლო ნაწილს განაგებს.

ორთქლმავალი და სახარატო საქმე შესანიშნავად იციან აგრეთვე ინჟინერ-მექანიკოსებმა ამხ. ს. ჩხეიძემ, ვ. ფრანგიშვილმა, ოსტატმა ამხ. ძ. ალექსეენკომ და სხვ. პირველი მათგანი აქამდე თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ - სარემონტო ქარხნის მთავარ მექანიკოსად ითვლებოდა. მომავალში კი თავის მდიდარ ტექნიკურ ცოდნასა და გამოცდილებას ახალგაზრდა სპეციალისტებს გადასცემს.

სასწავლებლის კოლექტივმა სერიოზული მუშაობა გასწია ახალი სასწავლო წლის მომზადებულად შესახვედრად. შეკეთდა საამქროები, გაფართოვდა სამჭედლო საამქრო, მოხდა სადურგლო საამქროს რეკონსტრუქცია, იქ მოეწყო მეორე საზეინკლო საამქრო, სადაც ერთდროულად 50 ახალგაზრდა ისწავლის.

მაგრამ არის მტკივნეული საკითხებიც. ეს პირველ რიგში ითქმის სასადილოზე. იგი ამჟამად ერთდროულად 80 მოსადილეს ატარებს, საჭირო და აუცილებელი კია გაატაროს 200 მოსადილე. სასადილოს გაფართოება ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებით ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის სამმართველოს დაევალა, მაგრამ გზის უფროსის მოადგილე ამხ. სუნგუროვი ამ გადაუდებელი საქმის მოგვარებას აგვიანებს. სასწავლო წლის დაწყებამდე რამდენიმე დღე დარჩა, სასადილოს გაფართოება კი არ დაუწყიათ. ეს საქმე დაჩქარებით უნდა მოგვარდეს.

კიდევ რამდენიმე დღე და 500 ჭაბუკი შეუდგება ბეჯით, მუყაით მეცადინეობას.

**პ. აბრამიძე**

## ახალი სკოლები მზად არის მეცადინეობის დაწყებისათვის

**ქუთაისი**, 22 ნოემბერი (საქდესი). საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ქუთაისში იხსნება საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა 144 კაცისათვის. დამტკიცებულია სკოლის დირექტორი, შერჩეული არიან კვალიფიციური მასწავლებელნი და ოსტატები. მოწყობილია სახელოსნოები. სკოლა სავსებით მზადაა სასწავლო წლის დაწყებისათვის.

მეცადინეობის დაწყებისათვის მზად არის აგრეთვე სახელოსნო სასწავლებელი. აქ ისწავლის 100 კაცი. მოწყობილია ლაბორატორიები, კაბინეტები, კლასები, ბიბლიოთეკა.

## 21 ნოემბრისათვის გაწვეულია 4.244 კაცი

სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის გაწვევა საქართველოში მთავრდება. შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს ცნობებით, 21 ნოემბრისათვის ახალ სასწავლებლებსა და სკოლებში ჩარიცხულია 4.244 კაცი, რაც რესპუბლიკაში გასაწვევი საერთო კონტინგენტის 90,3 პროცენტს შეადგენს აქედან სახელოსნო სასწავლებლებში მიღებულია 2.400 კაცი, რკინიგზის სასწავლებლებში — 482 და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში — 1.362.

ქალაქის ახალგაზრდობიდან გაწვეულია 2.011 კაცი, კოლმეურნე ახალგაზრდობიდან კი — 2.233.

4.176 ახალგაზრდა მოხალისეა, დანარჩენები ახალ სკოლებსა და სასწავლებლებში ჩარიცხული არიან გაწვევის (მობილიზაციის) წესით.

21 ნოემბერს მუშაობა დაამთავრეს რესპუბლიკის 57 რაიონის გამწვევმა კომისიებმა და ქალ. თბილისის 6 რაიონის გამწვევმა კომისიებმა (ლენინის რაიონში, უკანასკნელი ცნობებით, გაწვევა დამთავრებულია 22 ნოემბერს).

მთლიანად რესპუბლიკაში ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის გაწვევა, მთავრობის მიერ დაწესებული ვადის — 25 ნოემბრის ნაცვლად, დამთავრდება 23 ნოემბრისათვის. (საქდესი).

## კოლმეურნე და ქალაქის ახალგაზრდობის გაგზავნა სასწავლებლად

ამიერკავკასიის ბერიას სახელობის რკინიგზის სამმართველო გაძლიერებით ემზადება სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში გაწვეული ახალგაზრდობის დანიშნულების ადგილას გადასაყვანად.

ვაგზლებში გაწვეულთათვის გამოყოფილ იქნება სპეციალური დარბაზები და სადგომები, მოაწყობენ საცნობარო ბიუროებსა და სალაროებს ბილეთების შესამოწმებლად და ლიტერების ბილეთებზე გადასაცვლელად. განმანაწილებელ სადგურებიდან გაწვეულებს შეეგებებიან სპეციალური ბრიგადები გზაში სატრანზიტო მატარებლების შესადგენად. ვაგონებს მოემსახურებიან საუკეთესო გამყოლი-კომკავშირელები. გაწვეულები გზაში მიიღებენ უფასო კვებას.

გაწვეულთა გამგზავრება დაიწყება 25 ნოემბერს და დამთავრდება 1 დეკემბრისათვის. (საქდესი).

## გაწვევა დამთავრებულია

**სიღნაღი**, 22 ნოემბერი (საქდესი). რაიონულმა გამწვევმა კომისიამ დაამთავრა მუშაობა. თბილისის № 1 სახელოსნო სასწავლებელში ჩარიცხულია 45 კაცი. გაწვეულთა დიდი უმრავლესობა კოლმეურნე-სტახანოველებია.

**ხაშური**, 22 ნოემბერი (საქდესი). დამთავრდა ახალგაზრდობის გაწვევა ახალ სკოლებსა და სასწავლებლებში. ქალაქისა და რაიონისათვის გამოყოფილ 70 ადგილზე შემოტანილი იყო 300-ზე მეტი განცხადება. რკინიგზის სასწავლებელში ჩარიცხულია 15 კაცი, სახელოსნო სასწავლებელში—40, საფაბრიკო - საქარხნო სწავლების სკოლებში—15.

**ონი**, 22 ნოემბერი (საქდესი). 21 ნოემბერს რაიონულმა გამწვევმა კომისიამ დაამთავრა მუშაობა. 25 კაცი ჩარიცხულია თბილისის სახელოსნო სასწავლებელში, 25 — ტყიბულის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლაში.

# სულეიმან სტალსკი

### (სამი წელი გარდაცვალებიდან)

აშაგა-სტალ—ასე ეწოდება დაღესტანში აულს, სადაც 1869 წელს დაიბადა აშუღი სულეიმან სტალსკი. მძიმე იყო სულეიმანის ცხოვრება. 14 წლის ჭაბუკმა დაიწყო ლუკმა-პურისათვის შრომა. ჯერ მოჯამაგირეობდა, შემდეგ მან მუშად მუშაობდა რკინიგზის მშენებლობაზე, ბაქოს ნავთის სარეწაოებზე, რკინიგზის დეპოში. დადიოდა სულეიმანი სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში და ყველგან ერთსა და იმავე სურათს ხედავდა: მშრომელთა ყვლეფას, პატიოსნების ჩაგვრას, ბოროტების ბატონობას.

ერთხელ მოხეტიალე მომღერლები შეხვდნენ სულეიმანს, ბულბულზე ამღერებდნენ ლექსებს აშუღები. სულეიმანის გულშიც ატოკდა სიმღერის სურვილი. რამდენჯერ უსმენია მას სულგანაბულს ბულბულის უდარდელი კრიმანჭულისათვის და სულეიმანმაც გამოთქვა ლექსი. მისი პირველი ლექსი ბულბულს მიმართავდა, მაგრამ მასში უკვე ჟღერდა ტანჯულთა სულისკვეთება.

„თავდავიწყებით ხარ შეყვარებული ყვავილებზე, ბულბულო, მაგრამ ნუ თუ ვერ ამჩნევ სილარიბის ტანჯვა-წამებას, ტირილსა და გოდებას...“.

პირველ ლექსს მოჰყვა მეორე და სულეიმან სტალსკი მალე სახელგანთქმული აშუღი გახდა. მისი ლექსები, აგებული ხალხური უშუალობით, გულწრფელობით, აღვიძებდა ხალხში ბრძოლის ჰანგებს, თვალს უხელდა ტანჯულთა და ჩაგრულთა ძველი ქვეყნის უსამართლობაზე — „გაიღვიძე, მშრომელო ხალხო, დრო მოგვიწოდებს გავხდეთ მებრძოლნიო“..

სულეიმან სტალსკის ნიჭმა განსაკუთრებით გაშალა ფრთა საბჭოთა წესწყობილების დროს, როცა ხალხმა მოიპოვა პოეტის მიერ მრავალგზის ნანატრი თავისუფლება. მისი სიმღერები მოედო მთელ საბჭოთა კავშირს. აღფრთოვანებული აშუღი უმღერდა დიდ ბელადებს ლენინსა და სტალინს, სახელოვან წითელ არმიას, სოციალისტურ მშენებლობას, ახალ ცხოვრებას, რომელიც ასე გულწრფელად და გატაცებით უყვარდა მოხუც, მაგრამ სულით ახალგაზრდა სტალსკის. ყოველ ახალ მოვლენას საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში სტალსკი ეხმაურებოდა პოლიტიკურად გამართული ლექსებით, რომლებიც მტერს მახვილივით გმირავდნენ და სოციალიზმის მშენებელთ აფრთოვანებდნენ ახალ-ახალი საგმირო საქმეებისათვის.

„ნამდვილი სიყვარული კოცონს აღანთებს პატარა ციცინათელას მუცელშიც კი,—მე კი ადამიანი ვარ! პატიოსანი სიძულვილი სიბინძურისადმი ცივ წყაროებსაც კი ადუღებს კლდეებში, მე კი ადამიანი ვარ! განა შემიძლია ვდუმდე ასეთ დროში? არა, არ შემიძლია, მე ხომ პოეტი ვარ. „დე მოხუცი ვიყო, განა მოხუცი ფუტკრის თაფლი უფრო მწარეა?“.

სულეიმან სტალსკი თავს სთვლიდა არა მარტო დაღესტნელ პოეტად. „მე საბჭოთა პოეტი ვარ, თუმცა ვმღერი მხოლოდ ლეკურ ენაზე“. და მართლაც, სტალსკი მღეროდა ყველაფერზე, რაც საბჭოთა მრავალერიან ხალხს აწუხებდა და აფრთოვანებდა. მისი შესანიშნავი ლექსები და პოემები — „სიმღერა ამხანაგ სტალინზე“, „ფიქრი სამშობლოსა და ბელადზე“, „პოემა სერგოზე“, „დაღესტანი“ და სხვა მრავალი საბჭოთა პოეზიის თვალწარმტაც მარგალიტებს წარმოადგენენ და ერთნაირად საყვარელია ყველასათვის.

საბჭოთა მთავრობამ და მადლიერმა ხალხმა ღირსეულად დააფასა სულეიმან სტალსკი. 1936 წელს იგი დააჯილდოვეს ლენინის ორდენით. მისი კანდიდატურა ერთხმად იყო წაყენებული სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე. ღირსეულად უწოდა მას საბჭოთა მწერლობის ფუძემდებელმა მაქსიმ გორკიმ XX საუკუნის ჰომეროსი.

**გ. ნარიძე**

# ინგლის-გერმანიის ომი

## ინგლისის ავიაციის მოქმედება

**ლონდონი**, 21 ნოემბერი (საქდესი). როგორც ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, 20 ნოემბერს, ღამით, ინგლისის ყუმბარმშენები წარმატებით დაესხნენ თავს დუისბურგ-რურორტის შიდა ნავსადგურს. ბომბარდირებამ დააზიანა ნავსადგურში მყოფი გემები, აგრეთვე ნავსადგურის საწყობები. რამდენიმე ხანძარი გაჩნდა და აფეთქება მოხდა. ინგლისის თვითმფრინავთა სხვა შენაერთებმა იერიში მიიტანეს ლორიანის, შერბურგის, დიუნკერკისა და ოსტენდის ნავსადგურებზე. ყუმბარები დაუყარეთ მტრის რამდენიმე აეროდრომსაც. ამიენ-გლიზის აეროდრომზე დაიწვა გერმანიის თვითმფრინავი. ინგლისის ერთერთი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

## მუშათა ორგანიზაციების კონფერენცია კოვენტრიში

**ლონდონი**, 21 ნოემბერი (საქდესი). ხვალ კოვენტრის ტრედ-უნიონთა საბჭო იწვევს მუშათა ორგანიზაციების კონფერენციას იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც დაკავშირებულია კოვენტრიზე გერმანიის ავიაციის მასობრივი თავდასხმის შედეგებთან. კოვენტრის ტრედ-უნიონთა საბჭოს თავმჯდომარემ უერმენმა განაცხადა, რომ მოსახლეობას სჭირდება კარგი, ცოტათ თუ ბევრად მოხერხებული თავშესაფრები, აგრეთვე საზოგადოებრივი კვების ქსელის გაფართოება. უერმენი ამტკიცებდა, მოძრავი საკვები პუნქტების არსებული რაოდენობა საკმაო არ არის. ტრედ-უნიონთა საბჭო სათანადო ნაბიჯს გადასდგამს იმ ფირმების წინააღმდეგ, რომელნიც სხვადასხვა საბაბით ჯერ კიდევ უარს ამბობენ მუშებისათვის ხელფასის მიცემაზე. კონფერენცია განიხილავს მუშახელის გადაყვანასთან, ტრანსპორტთან და საწარმოებში კვების ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

## იმ პირთა გაწვევა ინგლისის არმიაში, რომელთაც სამხედრო სამსახური გადავადებული ჰქონდათ

**ლონდონი**, 21 ნოემბერი (საქდესი). ინგლისის ოფიციალურ წრეებში იუწყებიან, რომ ასიათასობით კვალიფიციურ მუშას და ტექნიკოსს, რომელთაც სამხედრო სამსახური გადავადებული ჰქონდა დროებით, ახლა არმიაში იწვევენ.

მას შემდეგ, რაც შრომის სამინისტროსთან შექმნილი სათათბირო კომიტეტი გადასწყვეტს იმ პირთა საკითხს, რომელთაც სამხედრო სამსახური გადავადებული ჰქონდათ და რომელნიც ლონდონის რაიონში მუშაობდნენ, დაიწყება პროვინციებში მომუშავეთა გაწვევა. გადავადების გაუქმების შემდეგ ისინი დაუყოვნებლივ გაიგზავნებიან ჯარში.

## ჩერჩილის გამოსვლა თემთა პალატაში

**ლონდონი**, 21 ნოემბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა გააკეთა ხმელთაშუა ზღვის ასპარეზის ომის მიმოხილვა. ხმელთაშუა ზღვის აუზში, სთქვა ჩერჩილმა, ომის ორი ასპარეზია. ჯერ ერთი, ინგლისმა ეგვიპტე და სუეცის არხი უნდა დაიცვას მტრის რიცხვობრივად მეტი ძალებისაგან. რამდენიმე თვის წინათ ეს საქმე მეტად ძნელად და საეჭვოდ გვეჩვენებოდა, მაგრამ ამჟამად დარწმუნებული ვართ, რომ ინგლისი ამ ამოცანას დასძლევს, უკეთუ მტერი თავს დაგვესხმის. მეორეც, ხმელთაშუა ზღვის აუზში იტალია ეომება საბერძნეთს, რომელმაც ჯერჯერობით შესძლო თავისი ტერიტორია გაეწმინდა შესეული მტრისაგან. ჩერჩილმა აღნიშნა, რომ საჭიროა მხედველობაში იქნას მიღებული ომის ორივე ეს ასპარეზი და განაცხადა, ამ მიმართულებით ყოველივე შესაძლებელი კეთდებაო.

დასასრულ ჩერჩილმა სთქვა: დღემდე ომი სწარმოებდა სრულად შეიარაღებულ გერმანიასა და სამეოთხედოდ თუ სანახევროდ შეიარაღებულ ბრიტანეთის იმპერიას შორის, მაგრამ დადგება დრო, როდესაც ინგლისი ისევე კარგად იქნება შეიარაღებული, როგორც მისი მტერი.

# იტალია-საბერძნეთის ომი

## საომარი მოქმედება საბერძნეთში

**ნიუ-იორკი**, 21 ნოემბერი (საქდესი). „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, საბერძნეთის ორი საარმიო კორპუსი იტალიელთა ხაზს გასცდა და შევიდა ლესკოვიკსა და არგიროკასტრონს შორის მდებარე რაიონში. იტალიელთა ხუთი დივიზია უკან იხევს. ბერძნების ჯარის მეწინავე ნაწილები კორჩა-ლესკოვიკის გზას გასცილდნენ; ჯარის ორი კოლონა არგიროკასტრონს უტევს, თუმცა შორს არის იქიდან. ერთი კოლონა, რომელიც არგიროკასტრონს უტევს, გარს ერტყმის იტალიის სულ ცოტა 4 ბატალიონს. როგორც იუწყებიან, ბერძნები კორჩას 2 კილომეტრით არიან დაშორებულნი. ერსეკის გზა გადაჭრილია, პოგრადეცის გზას არტილერია განუწყვეტლივ უშენს. გუშინ იტალიის რამდენიმე ათეულმა სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავმა კორჩაში მაშველი ძალები გადასხა.

## ინგლისის თვითმფრინავის იძულებითი დაშვება სიცილიის კუნძულზე

**ლონდონი**, 21 ნოემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო აქვეყნებს იტალიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგ ცნობას: იტალიელებს ტყვედ ჩაუვარდა ინგლისის ავიაციის მარშალი ბოიდი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ დაინიშნა ახლო აღმოსავლეთის საჰაერო ძალების მთავარსარდლის მოადგილედ. ბოიდი სხვა 7 კაცს შორის ინგლისის ყუმბარმშენში იჯდა, რომელიც მალტას გაფრენის დროს იძულებით დაეშვა სიცილიის კუნძულზე. როცა ავიაციის სამინისტროს შეეკითხნენ, მან განაცხადა, ბოიდი უკვალოდ დაიკარგაო. თუ რა ბედი ეწია ბოიდს, ამის შესახებ არავითარი დაწვრილებითი ცნობები არ მოიპოვება.

## მარშალ ბოიდის დატყვევება

**ლონდონი**, 21 ნოემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო აქვეყნებს ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეს, რომელიც ადასტურებს, რომ ინგლისის ახლო აღმოსავლეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდლის მოადგილე მარშალი ბოიდი ტყვედ ჩაუვარდა იტალიელებს.

## სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის შეზღუდვა თურქეთში

**სტამბოლი**, 21 ნოემბერი (საქდესი). თურქეთში შემოღებულია სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლის ნაწილობრივი შეზღუდვა. უქმდება მატარებელი, რომელიც დადიოდა ანკარასა და სტამბოლს შორის, ანკარასა, ადანსა და იზმირს შორის. ანკარასა და ადანს შორის კვირაში მხოლოდ სამჯერ ივლის აღმოსავლეთის ექსპრესი.

## ომი ხმელთაშუა ზღვის აუზსა და აფრიკაში

**რომი**, 22 ნოემბერი. იტალიის სარდლობა იუწყება:

„ჩვენმა მცველმა ჯარმა, რომელიც საომარი მოქმედების დასაწყისში საბერძნეთისა და ალბანეთის საზღვრის გასწვრივ ქალაქ კორჩის რაიონში განლაგებული ორი დივიზიისაგან შესდგება, 11 დღის ბრძოლის შემდეგ ქალაქის დასავლეთით მდებარე პოზიციებისაკენ დაიხია, ქალაქი ევაკუირებულია. ამ პერიოდის განმავლობაში გაფთრებული ბრძოლა სწარმოებს. ჩვენ მნიშვნელოვანი ზარალი ვნახეთ. მტრის ზარალიც დიდია და შეიძლება კიდეც აღემატება ჩვენს ზარალს. იტალიის ჯარი თავს იყრის ახალ თავდაცვით ხაზზე.

ჩრდილოეთ აფრიკაში ყუმბარა დავუშინეთ მტრის სარკინიგზო ნაგებობებსა და სხვა სამხედრო ობიექტებს მერსა-მატრუხში. როგორც ახლა გამოირკვა, 19 ნოემბერს გამართული ბრძოლის დროს მოსპობილია მტრის დაახლოებით 10 ტანკი და დაზიანებულია დაახლოებით 20 სატვირთო მანქანა. მტერმა ადამიანთა მხრივაც მნიშვნელოვანი ზარალი ნახა.

ინგლისის ავიაცია თავს დაესხა სოლუმს, ბარდიას, ტობრუკსა და ბინგაზს. ზარალი უმნიშვნელოა. მტრის სამხედრო გემებმა ყუმბარა დაუშინეს სიდი-ბარანის აღმოსავლეთით მდებარე ზონას და ჩვენს პოზიციებს მაკტილაში. მსხვერპლი და ზარალი არ არის. ეგეოსის ზღვაში მტრის თვითმფრინავებმა უწესრიგოდ ჩამოჰყარეს ყუმბარები ლეროსის კუნძულზე. ყუმბარების მეტი ნაწილი ზღვაში ჩავარდა.

აღმოსავლეთ აფრიკაში ინგლისის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა მთელ რიგ პუნქტებს, სადაც მსხვერპლი და ზარალი უმნიშვნელოა“.

**ათენი**, 22 ნოემბერი. საბერძნეთის არმიის უმაღლესი სარდლობა გადმოგვცემს შემდეგ ცნობას:

„21 ნოემბერს ბრძოლა მთელ ფრონტზე გრძელდებოდა. ჩვენმა ჯარმა ახალ წარმატებებს მიაღწია. ხელთ ვიგდეთ 15 ზარბაზანი, მათ შორის 7 მძიმე ზარბაზანი, და 4 საზენიტო ქვემეხი, რამდენიმე ათეული ტყვიამფრქვევი, რამდენიმე მორტირი და სხვა სამხედრო საჭურველი, აგრეთვე სურსათისა და საწვავი მასალის საწყობები.

ჩვენმა ავიაციამ სადაზვერვო ფრენა ჩაატარა და წარმატებით დაუშინა ყუმბარა იტალიის ჯარის ნაწილებს ფრონტზე“.

**ბიტოლი** (იუგოსლავიის საზღვარი). 22 ნოემბერი. დღეს შუადღისას საბერძნეთის ჯარმა მთლიანად დაიკავა მოროვოს მთა, ივან-გორა, აგრეთვე ჩრდილოეთისა და სამხრეთის პოზიციები ვარსკვლავის მთაზე, რომელიც წინათ იტალიელებს ეჭირათ.

**ლონდონი**, 22 ნოემბერი. გაზეთი „დეილი მეილი“ გადმოგვცემს, რომ ეპირის პროვინციის სანაპირო სექტორში ბერძნებმა მოპიკირე ყუმბარმშენები გამოიყენეს და 10 მილით შეიჭრნენ ალბანეთის ტერიტორიის სიღრმეში. საბერძნეთის არტილერიისა და საჰაერო ფლოტის მოქმედებას დახმარებას უწევენ ინგლისის ყუმბარმშენები, რომლებიც გაფთრებით დაესხნენ თავს კორჩას. ქალაქი დიდად დაზარალდა.

**ლონდონი**, 2 ნოემბერი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ აღმოსავლეთ ლიბიაში იტალიის 60 და ინგლისის 15 ავიაგამანადგურებლებს შორის საჰაერო ბრძოლა გაიმართა. ჩამოგდებულია იტალიის 7 ავიაგამანადგურებელი „ფიატ კრ—42“. ინგლისის ყველა თვითმფრინავი, რომლებიც ბრძოლაში იღებდნენ მონაწილეობას, თავის ბაზებში დაბრუნდა.

ინგლისის ავიაცია წარმატებით დაესხა თავს ალბანეთის ნავსადგურ დურაცოს და ტირანის (ალბანეთი) აეროდრომს.

ერიტრეაში ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ასაბის ნავსადგურს, სადაც ზარალი მიაყენეს შენობებს, სანავსადგურო ნაგებობებსა და სამხედრო-საზღვაო შტაბს.

20 ნოემბერს ინგლისის ავიაგამანადგურებელმა ადენის რაიონში ჩამოაგდო იტალიის ყუმბარმშენი, რომლის ეკიპაჟიდან სამი კაცი ტყვედ წამოიყვანეთ.

# პარტიული ცხოვრება

## მეტი გულისხმიერება რეკომენდაციების მიცემას

(ლანჩხუთი, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

საქ. კ. პ. (ბ) წესდებაში სწერია: „რეკომენდაციის მიმცემნი პასუხისმგებელი არიან თავიანთი რეკომენდაციების კეთილხარისხოვანობისათვის". წესდების ეს მუხლი თვითეულ რეკომენდატორს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს, მაგრამ ზოგიერთი კომუნისტი, რომელიც პარტიაში შემსვლელთ რეკომენდაციას აძლევს, გულისხმიერად როდი ეკიდება რეკომენდაციის მიცემას. კომუნისტებმა ბ. თავდიშვილმა, ს. ხელაძემ და ვ. ხელაძემ რეკომენდაციები მისცეს პარტიაში შემსვლელ დ. იმედაიშვილს. რაიკომის ბიუროზე გამოირკვა, რომ მისაღები ვერ იძლეოდა ავანგარდულ მაჩვენებელს კოლმეურნეობაში, პოლიტიკურად მოუმზადებელი იყო. რეკომენდატორები კი მას ახასიათებდნენ როგორც კარგ და აქტიურ მუშაკს.

ჩიბათის სასკოლო პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიის წევრად მიიღო ვ. ურატაძე, რომელმაც პარტიის წევრობის კანდიდატად მიღების დროს დაფარა თავისი წარსული. რეკომენდატორები ლ. პატარაია, კ. კუკულაძე და ე. სარჯველაძე კი ახასიათებენ მას, როგორც კარგ მუშაკს და ღარიბი გლეხის ოჯახიდან წარმოშობილს.

საჭიროა რეკომენდატორებმა უფრო მეტი გულისხმიერება და პასუხისმგებლობა გამოიჩინონ რეკომენდაციების მიცემის დროს.

**ვ. მექვაბიშვილი.**

## ერთი მაღაროს კომუნისტები

(ჭიათურა, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

პირველ და მეორე კვარტალში დიმიტროვის სახელობის ქარხ-მაღარო დიდად ჩამორჩებოდა საწარმოო გეგმების შესრულებაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებათა გატარების შედეგად მესამე კვარტალში გარღვევიდან გამოვიდა და წარმატებით მუშაობს მეოთხე კვარტალშიაც.

მოძმე უკრაინის რესპუბლიკის მაღაროელთა მოწოდების საპასუხოდ ამ მაღაროს კომუნისტებმა მნიშვნელოვნად აამაღლეს ავანგარდული როლი.

მაღაროს პირველ უბანს კომუნისტი დ. სახვაძე ხელმძღვანელობს. უბანი ყოველდღიურ გეგმას 102-103 პროცენტით ასრულებს. ამ უბანში მომუშავე ამწენდმა სტახანოველმა კომუნისტმა კ. ლავთაძემ წარმატებით გაანაღდა წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში აღებული ვალდებულება, ოქტომბრის თვის გეგმა 210 პროცენტით შეასრულა. კ. ლავთაძემ კვლავ იკისრა ჩქარი მუშაობის მეთოდით ნოემბერში სამჯერ გადააჭარბოს მოცემული გეგმის შესრულებას. ასევე კარგად მუშაობენ ამ უბნის სტახანოველი კომუნისტები: კ. წერეთელი, ვ. ბაძგარაძე, ი. ჭილაძე და სხვები.

მაღაროს მეორე უბანი (ხელმძღვანელი დ. ფალავანდიშვილი), ერთი თვის წინ გამოვიდა გარღვევიდან და ყოველდღიურ გეგმას 103-104 პროცენტით ასრულებს. სტახანოველმა კომუნისტებმა გრიგოლ ბიბიაშვილმა, ის. ნოზაძემ, დიმ. აბრამიშვილმა და სხვებმა ოქტომბრის გეგმა 160-170 პროცენტით შეასრულეს.

მაღაროს მესამე უბანში მომუშავე სტახანოველმა კომუნისტმა გრიგოლ ბრეგვაძემ წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში გაიმარჯვა, ყოველდღიურ გეგმას დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

შესანიშნავად მუშაობს სტახანოველი კომუნისტი დომენტი წიგნაძე, მან ოქტომბრის გეგმა ერთიორად შეასრულა.

დიმიტროვის სახელობის ქარხ-მაღაროებთან არსებულ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში 75 პარტწევრ კანდიდატიდან 44 ამხანაგი მიწისქვეშა სამუშაოზე მუშაობს და ყველა სტახანოველი და დამკვრელია.

დიმიტროვის სახელობის ქარხ-მაღაროში მომუშავე კომუნისტები სისტემატურად ამაღლებენ ავანგარდულ როლს და მარგანეცის გამოღების გეგმას 100 პროცენტზე მეტით ასრულებენ.

**ლ. ლოლაძე**

## პარტიული აქტივი სამხედრო საქმეს ეუფლება

**ჭიათურა**, (საქდესი). საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის ბიუროს დადგენილების შესაბამისად, რაიონის ცენტრში მოეწყო პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკთა აქტივის სამხედრო სწავლება. სამხედრო სწავლებაში ჩაბმულია 30 კაცი, მათ შორის — რაიკომის მდივნები და სხვა ხელმძღვანელი ამხანაგებიც.

პირველი მეცადინეობა 10 ნოემბერს შესდგა. მეცადინეობა მიმდინარეობს ყოველ ორშაბათობით მუშაობის შემდეგ, დღეში 2 საათს. მსმენელები 300-საათიან პროგრამას გაივლიან. მოეწყობა აგრეთვე თეორიული ლექციების ციკლი სამხედრო-ისტორიულ საკითხზე და წითელი არმიის გმირულ ბრძოლაზე.

## სამეურნეო მუშაკები უნდა დაეუფლონ ბოლშევიზმის თეორიას

სტალინური ეპოქის ადამიანებს მოთხოვნილებად გადაექცათ ყოველდღიურად მუშაობა იმ წიგნზე, რომელშიაც სტალინური სიბრძნით არის მოცემული ბოლშევიკების პარტიის გმირული წარსული. მილიონობით ადამიანებმა, პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა გაიგეს მარქსისტულ-ლენინური თეორიის გემო. ჩვენი ხელმძღვანელი სამეურნეო კადრები გულმოდგინედ მუშაობენ თავისი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებაზე.

აი რას ამბობს თბილისის ალმასკომის საბინაო სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ა. გოგიჩაიშვილი: — „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლამდე რაღაც ბეგარასავით მიმაჩნდა პარტისტორიის შემსწავლელ წრეში სიარული. პროპაგანდისტების ცვალებადობა დაბნეულობას იწვევდა ჩემში, ვერ აღძრავდა მისწრაფებას თეორიის დაუფლებისადმი. ამის შედეგად ერთ ადგილზე ვიყავი გაყინული მრავალი წლის მანძილზე, რაც პარტიის ისტორიის შესწავლისადმი ინტერესს მიკარგავდა. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლამ აღმიძრა ჩემს თავზე ყოველდღიურად მუშაობის, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დაუფლების სურვილი, წიგნზე მუშაობა ახლა მოთხოვნილებად გადამექცა.

და მართლაც, ამხ. გოგიჩაიშვილმა უკვე დაამთავრა „მოკლე კურსის" შესწავლა და ამჟამად გულმოდგინედ მუშაობს მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომების შესწავლაზე.

თბილისის ალმასკომის საბინაო სამმართველოს პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. გორდელაძე სისტემატურად აწარმოებს კონტროლს კომუნისტების პოლიტიკურ თვითგანვითარებაზე. სალამოობით ხშირად შეხვდებით ამხ. გორდელაძის ოთახში ამხანაგებს, რომლებიც „მოკლე კურსიდან" მიღებულ ცოდნას უზიარებენ ერთმანეთს. ამხანაგური საუბრების დროს ირკვევა, თუ ვინ როგორ მუშაობს პოლიტიკური დონის ამაღლებაზე. ასეთი საუბრები პარტიულ ორგანიზაციაში ჰქმნის ისეთ ატმოსფეროს, რომელიც ხელს უწყობს კომუნისტების გულმოდგინედ მუშაობას მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაზე; აქ არც თუ ისე იშვიათად აწითლებენ ზოგიერთ ჩამორჩენილ ამხანაგს პოლიტიკური უმეცრებისათვის.

თბილისის მოლოტოვის სახ. ავეჯეულობის ფაბრიკის სამანქანო-საამქროს უფროსი ამხ. ი. ცალკინი კარგად მუშაობს თავის თავზე. მან უკვე დაამთავრა პარტისტორიის „მოკლე კურსის" შესწავლა და ცალკეულ თავებზე კონსპექტები აქვს შედგენილი. იგი ახლა მარქსიზმის კლასიკოსთა პირველ წყაროების შესწავლას შეუდგა. თავის თავზე გულმოდგინე მუშაობა უადვილებს მას პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას.

— მარქსისტული ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის შესწავლა, — აცხადებს ამხ. ცალკინი — დიდ დახმარებას მიწევს როგორც საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხების ადვილად გარკვევაში, აგრეთვე ჩვენი ფაბრიკის საწარმოო საკითხების სწორად გადაჭრის საქმეშიც.

მაგრამ არიან ისეთი ამხანაგებიც, რომლებიც „უდროობის" გამო ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ შესდგომიან პარტიის ისტორიის „მოკლე კურსის" შესწავლას. ამასწინათ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ბერიას რაიკომის ინსტრუქტორები ესაუბრნენ თბილისის რადიოქარხნის დირექტორს ამხ. პ. კანკავას, რომელმაც განაცხადა, რომ პარტიის ისტორიის „მოკლე კურსის" მეოთხე თავს სწავლობდა, მაგრამ ამხანაგური საუბრის დროს გამომჟღავნდა, რომ ამხ. კანკავა საკმაოდ არ მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე.

რადიოქარხნის მომარაგების განყოფილების უფროსის მოადგილემ, პარტიის წევრმა ამხ. ფ. დევიცინმა განაცხადა, რომ მას მთლიანად შესწავლილი აქვს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", მაგრამ გამოირკვა, რომ ის არ ზრუნავს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დაუფლებაზე. იგი თავს იმართლებს იმით, რომ სამეურნეო მუშაკია და „დროის უქონლობის" გამო ვერ ახერხებს პარტისტორიის შესწავლას.

ამ ამხანაგებმა უნდა გააკეთონ სათანადო დასკვნა.

**ელ. ჩიტიშვილი.**

## საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

**საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან.**

ივანე ალექსის-ძე **მუშკუდიანი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 2842417—როგორც მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; სტეფანე მიხეილის-ძე **ნიკოღოსოვი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან, პარტბილეთი № 2856514—როგორც სახალხო სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; ანდრია სარქისის-ძე **ლამბაროვი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1931 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0718973 — პარტიული ცხოვრებისაგან მოწყვეტისა და 14 თვის განმავლობაში პარტსაწევრო გადასახადის შეუტანლობისათვის; მარიამ ივანეს-ასული **ტომასოვა**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1930 წლიდან, პარტბილეთი № 1540828—ფაბრიკაში პაპიროსის ქურდობისათვის; სერგი არტემის-ძე **აპრესოვი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0930328 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; სერგი ივანეს-ძე **მარტიროსოვი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1501866 — მომხმარებლის წონაზომაში მოტყუებისა და სიყალბის ჩადენისათვის; არამ ალექსანდრის-ძე **გუმაშიანი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1262545—როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; არშაკ ივანეს-ძე **ტატიაშვილი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 1529152 — პარტიული ცხოვრებისაგან მოწყვეტის და 9 თვის განმავლობაში პარტსაწევრო გადასახადის შეუტანლობისათვის; სოლომონ მიხეილის-ძე **ჩოჩიევი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1936 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 3071776—როგორც მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; მიხეილ სიმონის-ძე **ქელეხსაშვილი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1940 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 3074826—როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული წარმოებიდან თვითნებურად წასვლისათვის; ბაგრატ ნერსესის-ძე **მოსესოვი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1529306—როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული; მიხეილ არშაკის-ძე **ამირაგიანი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2154240 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული ხულიგნობისათვის; დავით დიმიტრის-ძე **ტუტუჩავა**, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2162425—ყოფაცხოვრებითი გახრწნილებისათვის.

## ახალი ერევანი

ერევანი. სტალინის პროსპექტის ხედი.

ირანულ მეჩეთში, რომელიც ახლაც ყურადღებას იპყრობს, როგორც აღმოსავლური არქიტექტურის იშვიათი ნიმუში, მოთავსებულია ერევნის კომუნალური მუზეუმი. საბჭოთა სომხეთის 20 წლისთავის აღსანიშნავად მუზეუმმა საინტერესო გამოფენა მოაწყო. სხვა მრავალ საყურადღებო ექსპონატებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ოთხი რუკა. ერთი ეკუთვნის ფრანგ მოგზაურს ჟან-ბატისტ ტავერნიეს და შედგენილია 1665 წელს, მეორე — ფრანგსავე მოგზაურს შარდენს (1673 წ.), მესამე მეფისდროინდელია, ხოლო მეოთხე დღევანდელ ერევანს ასახავს. პირველი ორი რუკა დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან: მაგალითად, ზანგის მახლობლად, გორაკზე ციხე-კოშკი, ხოლო გორაკებს შუა დაბლობში — ბაღნარში ჩამჯდარი ბანიანი სახლები. საგუბერნიო ქალაქ ერევნის ხედი უფრო ღარიბია. ყველაზე შესანიშნავი შენობაა ირანული მეჩეთი და ქარვასლა, მაღალი წრისათვის გასართობად — ინგლისური პარკი, ვიწრო მოუკირწყლავი ქუჩები და ალიზით შელესილი დაბალი, ბანიანი ქოხმახები — აი მაშინდელი ერევანი.

ერევანს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. როდის დაარსდა ქალაქი, არავინ უწყის. პირველად ისტორიულ ლიტერატურაში ცნობა გვხვდება მე-7 საუკუნეში. ამ დროს ერევანი უკვე ცნობილი ქალაქი იყო.

საიდან წარმოსდგა სახელწოდება ერევანი? ამის შესახებ ბევრი ლეგენდა არსებობს. ზოგის აზრით ერევანი წარმოსდგა სიტყვიდან ერევაც, რაც ნიშნავს გამოჩნდა, ე. ი. ანის დანგრევის შემდეგ ახალი, მისი შემცვლელი ქალაქი გამოჩნდაო. მეორე ვერსიით ერევანი წარმოსდგა ორი სიტყვისაგან: ერი-ებანი, რაც ნიშნავს ერიების ქვეყანა (ასე უწოდებდნენ იმ ხალხს, რომელიც ძველად არარატის ხეობაში ცხოვრობდა). მესამე ვერსია: სევანის ნაპირად ნაპოვნია ურარტუს მეფის რუსა I-ის წარწერა, რომელშიაც ლაპარაკია რუსას მიერ ახალი ქვეყნის ერიანის დაპყრობის შესახებ. ფიქრობენ, რომ ამ ქვეყნის ცენტრსაც ერქვა ერიანი. საიდანაც წარმოსდგა ერევანი.

როგორიც არ უნდა იყოს ერევნის წარმოშობა, ერთი ფაქტია: ეს არის უძველესი ქალაქი, რომელსაც მდიდარი ისტორია აქვს. 1264 წელს ერევანი იყიდა ანის ფეოდალმა საგმადინმა და დაადგინა ახალი წესები. ამის შემდეგ აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნაზე მდებარე ერევანი გადაიქცა დიდ სავაჭრო ქალაქად.

მონღოლ-სელჯუკების ბატონობის შემდეგ, 1604 წელს შაჰ-აბასმა დაიპყრო ქალაქი და მთელი არარატის ხეობის მცხოვრებნი გადაასახლა სპარსეთში.

1725 წელს სულთანმა იგდო ხელთ ერევანი. თურქეთის ბატონობა ათ წელს გაგრძელდა. ხოლო 1735 წელს ისევ ირანელები გაბატონდნენ არარატის ხეობაში და დააარსეს ერევნის სახანო, რომელსაც განაგებდა სარდარი.

1827 წელს რუსეთის გენერალმა პასკევიჩმა ალყა შემოარტყა ერევანს, მალე დაიპყრო კიდეც ქალაქი, ხოლო უკანასკნელი სარდარი ასან-ხანი ტყვედ წამოიყვანა.

ირანელთა ბატონობა დაუსრულებელ ტანჯვა-წამებას წარმოადგენდა. სომეხი ხალხის დიდი განმანათლებელი ხაჩატურ აბოვიანი, რომელიც მოწამე იყო რუსის ჯარის მიერ ერევნის აღებისა, თავის რომანში „რანი არმენი" აგვიწერს, თუ რა სიხარულით შეხვდნენ ერევნელნი ერთმორწმუნე რუსეთს. თურქმანჩაის ხელშეკრულების თანახმად რუსეთმა 40.000 სომეხი გადმოასახლა არარატის ხეობაში ირანის ტერიტორიიდან.

1918 წელს, როცა სომხეთში დაშნაკების ხელისუფლება იყო, ერევანი წარმოადგენდა ლტოლვილთა და დამშეულთა ქალაქს. 1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ამ დღიდან იწყება ერევნის აღორძინება.

ძველი რუკების გასინჯვაც არ არის საჭირო, რომ დარწმუნდე, რა დიდი განსხვავებაა ძველსა და ახალ ქალაქს შორის. რკინიგზის სადგური „კონკით" იყო დაკავშირებული ქალაქთან, მთელი საათი მიჩანჩალებდა ჯაგლაგაცხენიანი ვაგონი ჭაობიან მინდვრებში. ახლა სადგური ქალაქთან ფართოლიანდაგიანი ტრამვაით არის დაკავშირებული. ტრამვაის ხაზი მოჰყვება სამხრეთის პროსპექტს, რომელიც იწყება ახალი კინოთეატრით „დავით სასუნცი". ფართო ევროპულ ქუჩას მრავალსართულიანი სახლები ამშვენებენ.

ერევნის სიამაყე — კიროვის სახელობის სამრეწველო კომბინატი — ქალაქთან დაკავშირებულია ორჯონიკიძის ფართო ქუჩით, რომელიც ნამდვილ სამრეწველო ქალაქს წარმოადგენს. მაგრამ ყველაზე შესანიშნავია სტალინის პროსპექტი, რომელსაც ამშვენებენ ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის თეატრის შესანიშნავი შენობა, 4 და 5-სართულიანი საცხოვრებელი სახლები, სკოლები, ევროპული ყაიდის მაღაზიები. სულ რამდენიმე წლის წინათ იქ, სადაც ახლა სტალინის პროსპექტია, ტიალი ადგილები იყო მეჩხერი ქოხმახებით. სტალინის პროსპექტი ქალაქის თავზე უხვევს და თანდათან გადადის ლენინის ქუჩაზე, რომელიც აგრეთვე კეთილმოწყობილ მაგისტრალს წარმოადგენს. ამ ორ პარალელურ ქუჩებს შორის არის აბოვიანისა და ნალბანდიანის ქუჩები.

ქალაქის გულშია ლენინის მოედანი, რომელსაც სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავზე დაამშვენებს ლენინის მონუმენტური ძეგლი. ამ მოედანს ერთის მხრით აკრავს კულტურის სახლი, მეორე მხრით პარკი და შაუმიანის მოედანი ძეგლით, ხოლო სამხრეთიდან აღმართულია მთავრობის ახალი სასახლე, აგებული არქიტექტორ თამანიანის პროექტით წითელი ქვისაგან.

ქალაქი გაზრდილა უკანასკნელ წლებში და ახლაც იზრდება არა თვეობით, არამედ ყოველდღე. თანდათან ჰქრებიან ძველი ქალაქის დამახასიათებელი ბანიანი მიწურები. მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომბინატებით, სახელმწიფო და საზოგადოებრივი სარგებლობის შენობებით მოფენილია მთელი ქალაქი. ე. წ. ინგლისურ ბაღში ახლა კულტურის და დასვენების საუცხოო პარკია, ხოლო პარკის შიგნით სომხური თეატრი.

ერევანი სომხეთის პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრია. 50-მდე დიდი სამრეწველო საწარმოში 12.175 მუშა მუშაობს, 1914 წელს კი მთელ ქალაქში 394 მუშა ითვლებოდა და ისიც კუსტარულ სახელოსნოებში. 1914 წელს ქალაქის მრეწველობამ გამოუშვა 847.000 მანეთის სამრეწველო პროდუქცია, ხოლო 1939 წელს — 205.394.000 მანეთისა.

სწრაფი ტემპით ზრდის მაჩვენებელია შემდეგი ციფრები:

ერევნის საქალაქო ბიუჯეტი 1922-23 წელს უდრიდა 179.800 მანეთს, ხოლო 1940 წელს უდრის — 67.284.000 მანეთს. გაიზარდა მოსახლეობაც: 1914 წ. — 29.400, 1923 წ. — 47.500, ხოლო 1940 წელს — 205.000. თუ 1923 წელს ბიუჯეტით ერთ მცხოვრებზე იხარჯებოდა 3 მ. 50 კ., წელს იხარჯება 324 მ. პირველ ხუთწლედამდე ერევანში აშენდა 56.500 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი, პირველ ხუთწლედში — 70.400, მეორეში — 166.800, ხოლო მესამეში — 218.900. 1914 წელს ერევანში სწავლობდა 4.055 მოწაფე, ქალაქში არ იყო არცერთი უმაღლესი სასწავლებელი. წელს კი საშუალო სკოლებში სწავლობს 38.717 მოწაფე და უმაღლესში — 13.500.

ერევანი სომხეთის კულტურული ცენტრია. აქ არის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალი, 34 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 8 მუზეუმი, 47 კლუბი, 15 ბიბლიოთეკა, 7 თეატრი, 5 კინოთეატრი, 3 კულტურისა და დასვენების პარკი, სახესტრადა, ფილარმონია, ცირკი. ერევანში გამოდის 10 გაზეთი. სახელგანთქმულ მატენადარანში (უძველეს ხელნაწერთა სახელმწიფო საცავი) თავმოყრილია 30.000-ზე მეტი უძველესი ხელთნაწერი როგორც სომხურ, ისე სხვა ენებზე. ქალაქს აქვს ბოტანიკური ბაღი, ახლახან გაიხსნა ზოოპარკი.

ახალი ერევანი კეთილმოწყობილი კულტურული ქალაქია ასფალტირებული ქუჩებითა და მოედნებით, მშვენიერი პარკებითა და ბაღებით, სასტუმროებითა და საქალაქო ტრანსპორტით. დიდიხანია ისტორიას ჩამოშორდა ის დრო, როცა ერევანი უცხო სახელმწიფოთა საქიშპო ობიექტს წარმოადგენდა. თურქები დაამარცხებდნენ ირანელებს და ერევანსაც დაარბევდნენ, თავის მოხარკედ აქცევდნენ, შემდეგ ირანი გაძლიერდებოდა და თურქებს გარეკავდა. სომხებისათვის კი ორივე მტაცებელი ერთგვარად საზარელი იყო. 1838 წელს ხაჩატურ აბოვიანმა ერთი ფრანგი მოგზაური ჩაიყვანა სომხეთში ქვეყნის გასაცნობად. ამ მოგზაურობის შესახებ ხ. აბოვიანი სწერდა — ყოველთვის, როცა ერევანში ჩავალ, თვალწინ მიდგას მთელი საშინელება, რაც სარდარებმა აქ ჩაიდინესო, თითქოს ახლაც მესმის ტირილი და გოდება ბავშვებისა და ქალებისა, თითქოს ახლაც ვხედავ როგორ ასამარებენ ცოცხლად ადამიანებსო.

ასეთი იყო სომეხი ხალხის წარსული.

რა მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ სომხებს?

„საბჭოთა სომხეთი ყველა სხვა ხალხზე უფრო მადლიერი უნდა იყოს საბჭოთა ხელისუფლებისა. საბჭოთა ხელისუფლებამ მოუტანა სომეხ ხალხს არა მარტო თავისუფლება, არამედ მშვიდობიანი ცხოვრება, რასაც იგი მოკლებული იყო წინათ" (ა. მიქოიანი).

სომეხ ხალხს კარგად აქვს ეს შეგნებული. იგი შეუნელებლად აწარმოებს სოციალისტურ მშენებლობას და მზად არის საკუთარი მკერდით დაიცვას საბჭოთა სამშობლო.

**გრ. ნუცუბიძე**

## საბჭოთა ხელისუფლების დამყარება სომხეთში

(მოკლე ისტორიული მიმოხილვა)

სომხეთის ხალხის ისტორია უძველესი დროიდან იწყება. საუკუნეთა მანძილზე სომხეთი გმირულად იცავდა თავს გამანადგურებელი თავდასხმებისაგან. 1906 წელს გეორგ ბრანდესი სწერდა: „სომხები კულტურული და დედამიწაზე ერთერთი უძველეს ხალხთაგანია... მათ თავის ქვეყანაში და კიდევ უფრო მეტად თავისი ქვეყნის გარეშე დიდი საქმეები გაუკეთებიათ ცივილიზაციის სამსახურში". მიუხედავად მაღალი კულტურისა და თავდადებული ბრძოლებისა, სომხეთის ისტორია წარმოადგენს ხალხის რბევისა და ტანჯვის გრძელ ჯაჭვს. აზიასა და ევროპის მიჯნაზე მდებარე ქვეყანა გადაიქცა დაუსრულებელი თავდასხმებისა და სისხლისმღვრელი ბრძოლების ასპარეზად. ცეცხლითა და მახვილით გადაუქროლეს სომხეთს ჰუნებმა, სპარსელებმა, რომაელებმა, არაბებმა, ბიზანტიელებმა, სელჯუკებმა, მონღოლებმა, ოსმალებმა. ვერც კი მოასწრებდა ხალხი თავდასხმის იარების მოშუშებას, მეურნეობის აღდგენას, რომ კვლავ ახალი მტერი შემოესეოდა, აიკლებდა ქალაქებს და სოფლებს, ჟლეტდა მცხოვრებლებს, ანადგურებდა დოვლათს. განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა სომხეთს თურქეთმა, რომლის ჯარმა ასიათასობით ამოხოცა სომხები. ასე მოიქცა 90-იან წლებში სისხლისმსმელი სულთანი აბდულ ჰამიდი. 1914-18 წლებში ოტომანთა თურქეთმა ერთი მილიონი სომეხი ამოჟლიტა.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ შვება ვერ მოუტანა სომეხ ხალხს. სრულიად შეიცვალა მდგომარეობა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. სამოქალაქო ომები დაიწყო არა მარტო რუსეთში, არამედ ამიერ-კავკასიაშიაც, მაგრამ რუსეთისაგან განსხვავებით ჩვენში პირველ ხანებში ძალაუფლება ხელთ იგდეს კონტრრევოლუციონერებმა. 1918 წლის 28 მაისს სომხეთში შესდგა დაშნაკების მთავრობა.

დაშნაკების ბატონობის ხანა ყველაზე საშინელი პერიოდია სომხეთის ისტორიაში. ფაქტიურად დაშნაკური სომხეთი წარმოადგენდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ნახევარკოლონიას. ინგლის-საფრანგეთისა და ამერიკის გენერლები ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონები იყვნენ.

დაშნაკური მთავრობა, როგორც იმპერიალისტთა ნამდვილი ლაქია, ყოველნაირად უწყობდა ხელს სომხეთის დამონებას, რადგანაც იცოდა, რომ დაშნაკური წყობილების ბედი იმპერიალისტთა ხიშტებზე იყო დამყარებული. იმპერიალისტთა მითითებით დაშნაკებმა დაამყარეს მეგობრული კავშირი თეთრ გენერლებთან — დენიკინთან, ვრანგელთან და აქტიურად მონაწილეობდნენ ინტერვენციაში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

დაშნაკების ბატონობის დროს გლეხობას არ მიუღია არცერთი ნაკვეთი მიწა. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში იყვნენ მუშები, რომლებიც დღეში 12-14 საათს მუშაობდნენ. ხალხი შიმშილით იხოცებოდა. სამაგიეროდ დაშნაკები აწარმოებდნენ სისხლისმღვრელ ომებს მეზობლებთან. სერგო ორჯონიკიძე სწერდა: „თუ საქართველოს და სომხეთის დამოკიდებულების მთელ ისტორიაში არასდროს არ ჰქონია ადგილი ომს ამ ორ მოძმე ხალხს შორის, საკმარისი იყო ძალაუფლებას სათავეში ჩასდგომოდნენ, უკაცრავად პასუხია, „სოციალისტები" — მენშევიკები და დაშნაკები, რომ ორი მოძმე ხალხი ჩაბმულიყო სასიკვდილო ბრძოლაში რაღაც მიწის ნაკვეთისათვის და ინგლისელ ვაჭართა და მრეწველთა ინტერესებისათვის დაეღვარა სომეხ და ქართველ მუშებისა და გლეხების სისხლი".

გარეშე ომს თან ახლდა შინაური უწესრიგობა. დაშნაკი მაუზერისტები ცდილობდნენ ცეცხლით და მახვილით ჩაეხშოთ ხალხში თავისუფლების სურვილიც კი. ხალხის მდგომარეობა საშინელი იყო. გაზეთი „აშხატანკი" 1919 წელს სწერდა, სომეხი ხალხის მდგომარეობა ასეთი შესაზარი არასოდეს არ ყოფილაო. ყოველი მხრიდან ისმის გულშემზარავი კივილი — „ხალხი იხოცება შიმშილით". და მართლაც არ იყო სომხეთში ისეთი სოფელი, ისეთი კუთხე, რომ დღეში 10-20 კაცი არ მომკვდარიყო შიმშილით. ამ ჯოჯოხეთიდან ერთადერთი გამოსავალი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

ხალხის ბრძოლა დაშნაკების ბატონობის წინააღმდეგ არსებითად 1918 წლიდანვე დაიწყო. მაგრამ 1918-19 წლების რევოლუციურ გამოსვლებს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მასობრივი ხასიათი. პირველი დიდი აჯანყება დაშნაკთა ბატონობის წინააღმდეგ დაიწყო 1920 წლის მაისში. ამ დროისათვის რუსეთში წითელმა არმიამ მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვებები და შესაძლო გახდა წითელი არმიის მიერ ამიერ-კავკასიის ხალხებისათვის დახმარების აღმოჩენა. 1920 წლის მარტში, როცა სახელოვანმა XI არმიამ ამხ. ს. ორჯონიკიძის, ს. კიროვის და ა. მიქოიანის ხელმძღვანელობით გაანადგურა თეთრი ბანდები ჩრდილოეთ კავკასიაში, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების სამხარეო კომიტეტმა და ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის საოლქო კომიტეტმა ამიერ-კავკასიის ხალხთა სახელით გამოაქვეყნეს დეკლარაცია, რომელშიაც საბჭოთა რუსეთს და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბელადებს — ლენინსა და სტალინს სთხოვდნენ დახმარებას.

ეს მოწოდება არ დარჩენილა უპასუხოდ. XI არმია გამოეშურა ამიერ-კავკასიისაკენ. ამ დახმარებით აღფრთოვანებული სომეხი ხალხი აჯანყდა დაშნაკების წინააღმდეგ. 10 მაისს დაიწყო აჯანყება ალექსანდროპოლში (ახლა ლენინაკანი). აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ სარქის მუსაელიანი, ბაგრატ გარიბჯანიანი და სევოიანი. სამ დღეს გაგრძელდა ბრძოლა. 14 მაისს მაუზერისტებმა დაამარცხეს აჯანყებულები და დაიპყრეს ქალაქი. ასეთივე აჯანყებები მოეწყო ყარსში (გუკას გუკასიანის ხელმძღვანელობით), სარაყამიშში, ნორ-ბაიაზეთში, ყაზახ-ქარვასლისა და შამშადინის მაზრებში, ზანგეზურსა და სხვა რაიონებში. ყველგან გამოცხადებულ იქნა საბჭოთა წესწყობილება, რამდენიმე დღის განმავლობაში ხელისუფლება აჯანყებულთა ხელში იყო. მაგრამ მაისის აჯანყება დაქუცმაცებულად დაიწყო, არ იყო ერთიანი ხელმძღვანელობა და მჭიდრო კავშირი, რის გამო აჯანყება ცეცხლითა და მახვილით ჩააქრეს, ხოლო მეთაურები დახვრიტეს. მაისის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ საგანგებო სასამართლოები შეუბრალებლად ხვრეტდნენ ყველას, ვინც აჯანყებასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ამან ვერ ჩააქრო ხალხში რევოლუციური განწყობილება.

1920 წლის შემოდგომაზე დაშნაკების გაკოტრებულმა მთავრობამ ინგლის-საფრანგეთის წაქეზებით ომი გამოუცხადა თურქეთს. რასაკვირველია, ინგლისი არ დაეხმარა მას და მალე თურქებმა აიღეს ყარსი, სარაყამიში, ალექსანდროპოლი და დაიწყეს სომხების ამოჟლეტა. მშრომელი ხალხისათვის საშინელი მდგომარეობა შეიქმნა. ხალხს ფიზიკური განადგურება ელოდა. 1920 წლის 4 ნოემბერს ბაქოში ჩავიდა ამხანაგი სტალინი, რომელმაც ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების წინაშე მკვეთრად დასვა სომეხი ხალხის გადარჩენის საკითხი. ერთადერთი გამოსავალი იყო სომხეთში საბჭოთა წესწყობილების დამყარება. ოქტომბერ-ნოემბერში ამხ. ორჯონიკიძის, კიროვისა და მიქოიანის ხელმძღვანელობით კვლავ დაიწყო რევოლუციური აჯანყებები. მოძრაობის ცენტრი იყო ახლანდელი ინჯევანის რაიონი. ინჯევანში, დელიჟანში, შამშადინში, კაფანსა და ნორ-ბაიაზეთში მშრომელებსა და დაშნაკებს შორის გაიმართა ცხარე ბრძოლები. აჯანყებები დაიწყო სხვა მაზრებშიც (ზანგეზური, აპარანი, აშტარაკი, ვაღარშაპატი და სხვ.). დაშნაკების მთავრობა ყოველგვარ ზომებს მიმართავდა მოახლოებული დასასრულის თავიდან ასაცილებლად. მან უეცრად იცვალა პირი და „თურქული ორიენტაცია" მიიღო. მაგრამ მისი ბედი გადაწყვეტილი იყო. ნოემბერში ლენინისა და სტალინის ბრძანების თანახმად XI არმია მიეშველა აჯანყებულ ხალხს და 1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა.

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში განაწამებმა სომეხმა ხალხმა მოიპოვა მშვიდობიანი ცხოვრება. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება სომხეთში მოხდა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. თავის განთავისუფლებას სომეხი ხალხი მას უმადლის. სტალინი სომეხი ხალხის მეგობარია. ლენინი და სტალინი მრავალტანჯული სომეხი ხალხის ნამდვილი გადამრჩენნი და გამათავისუფლებელნი არიან.

**ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის მ. ნერსესიანის წერილიდან.**

## ქართული ლიტერატურის რუსთაველის სახელობის ინსტიტუტში

მუშაობას შეუდგა ქართული ლიტერატურის რუსთაველის სახელობის სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტი. ინსტიტუტს სათავეში უდგას ცნობილი მეცნიერი პროფ. კ. კეკელიძე, სწავლულ მდივნად დანიშნულია დოცენტი ქ. ბეგიაშვილი.

ინსტიტუტს აქვს ქართული ლიტერატურის (ძველი, ახალი და თანამედროვე) ისტორიის, ქართული ფოლკლორისა და ლიტერატურათმცოდნეობის სექტორები.

ინსტიტუტის შტატში ირიცხება 14 მეცნიერი მუშაკი — დოცენტები და მეცნიერებათა კანდიდატები. ინსტიტუტის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე პროფესორები მ. ზანდუკელი, ვ. ბერიძე, ა. ბარამიძე და სხვ. ინსტიტუტის მუშაობა შემდეგით გამოიხატება: საქართველოს ლიტერატურული ძეგლების კრიტიკულად ათვისება და გამოცემა, საფოლკლორო მასალის შეგროვება და შესწავლა, აგრეთვე მარქსისტული ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საკითხების დამუშავება.

## 15 გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება

**ჭიათურა**, (საქდესი). ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა შორის თავისი ენერგიული მუშაობით გამოირჩევა ზეინკალი ამხ. გიორგი გოგატიშვილი. ერთი წლის განმავლობაში განხორციელებულია მისი 15 გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რამაც 21.283 მანეთი ეკონომია მოგვცა.

ამხ. გოგატიშვილის წინადადებით ქარხნებში მოეწყო სალექ ყუთ-სიფონთა რეკონსტრუქცია, რაც წლიურად 11.250 მანეთ ეკონომიას იძლევა. ლენინის სახელობის ქარხანაში ამხ. გოგატიშვილისავე წინადადებით ეწყობა ჯალამბრები ვაგონეტების მიმოსვლის მოსაწესრიგებლად, რაც საშუალებას მოგვცემს დიდძალი მუშახელი გავათავისუფლოთ.

# ინგლის-ინდოეთის ურთიერთობა

**ლონდონი,** 21 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო დელიდან იუწყება, რომ გუშინ ინდოეთის საკანონმდებლო კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა ინდოეთის მეფის მოადგილემ ლინლიტგოუმ.

მან განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა ამჟამად არ გააფართოოს მეფის მოადგილესთან არსებული აღმასრულებელი საბჭო და არ შექმნას სამხედრო - საკონსულტაციო საბჭო. ლინლიტგოუმ გაიხსენა ინგლისის მთავრობის განცხადება, რომლითაც მან მოიწონა ინდოეთის სურვილი შექმნას თავისი საკუთარი თვითმართველობა, და აღნიშნა, რომ ინგლისის მთავრობამ მოითხოვა გადადებულ იქნას ომის შემდეგი დროისათვის აღმშენებლობითი მუშაობა ინდოეთის ახალი კონსტიტუციის დაწესების დარგში.

ამ გადაწყვეტილების დასაბუთებისას ლინლიტგოუმ აღნიშნა, რომ ინგლისის მთავრობა ცდილობდა უფრო მჭიდრო თანამშრომლობა დაემყარებინა ინდოეთის საზოგადოებრიობასა და ინდოეთის ცენტრალურ მთავრობას შორის, რისთვისაც მეფის მოადგილესთან არსებული აღმასრულებელი საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად იწვევდა ინდოეთის პოლიტიკურ მოღვაწეებს, აგრეთვე წინადადებას იძლეოდა შექმნილიყო სამხედრო-საკონსულტაციო საბჭო. მაგრამ, — აღნიშნა მან, — ამ წინადადებებს ჯეროვანად არ გამოეხმაურნენ ინდოეთის პოლიტიკური ლიდერები. „ის მიზეზები, — სთქვა ლინლიტგოუმ, — რომელთა შედეგადაც მათ ვერ მიიღეს ინგლისის მთავრობის წინადადებანი, საკონფლიქტო ხასიათის მიზეზებია".

ინგლისის მთავრობა, — განაცხადა ლინლიტგოუმ, — არ უარჰყოფს ამ წინადადებებს და მზად არის უზრუნველჰყოს მათი განხორციელება, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნებული იქნება, რომ ამ წინადადებებს საკმაოდ დაუჭერენ მხარს ინდოეთის მოსახლეობის ძირითადი ფენები. მაგრამ რადგანაც ეს მხარდაჭერა ჯერ კიდევ არ არის, ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა ამჟამად არ გააფართოოს მეფის მოადგილესთან არსებული აღმასრულებელი საბჭო და არ შექმნას სამხედრო-საკონსულტაციო საბჭო. მეფის მოადგილემ აღნიშნა, რომ ინდოეთში მიღწეულია დიდი წარმატება სამხედრო ღონისძიებათა გატარების მხრივ და აღნიშნა, რომ საჭიროა ყოველმხრივ გამოყენებულ იქნას ინდოეთის ეკონომიური რესურსები. ინდოეთში სამხედრო მასალით მომარაგების დიდი ცენტრის შექმნის ამოცანა, განაცხადა დასასრულ ლინლიტგოუმ პირველ რიგში უნდა იქნას დაყენებული.

## ემერის გამოსვლა თემთა პალატაში

**ლონდონი,** 21 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ, ინდოეთის მეფის მოადგილის ლინლიტგოუს განცხადებასთან დაკავშირებით, თემთა პალატაში სიტყვა წარმოსთქვა ინდოეთისა და ბირმის საქმეთა მინისტრმა ემერიმ. ემერიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგლისის მთავრობა „იმ დროს, როდესაც უსასტიკესი ბრძოლა არის გაჩაღებული ბრიტანეთის იმპერიის არსებობისათვის", არ დასთანხმდება ინდოეთის მთელი ადმინისტრაციული აპარატის სრულს გარდაქმნასა და იმას, რომ ომის საჭიროებისათვის სახელმწიფოს რესურსების მობილიზაციისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროს სრულიად ახალ მთავრობას. ემერიმ სინანული გამოსთქვა იმის გამო, რომ ინდოეთის ნაციონალურმა კონგრესმა უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ინგლისის მთავრობის მიერ წამოყენებულ წინადადებათა საფუძველზე.

ემერი შეეხო, თუ ინდოეთი რა როლს ასრულებს და რა მონაწილეობას იღებს ახლანდელ ომში და განაცხადა, რომ ინდოეთის არმიას ამჟამად ჰყავს სულ ცოტა 100 ათასი კაცი და უახლოეს ხანში უნდა გადიდებულ იქნას 500 ათას კაცამდე. მოტომექანიზებული ტრანსპორტი 5 ათასი ერთეულიდან 32 ათას ერთეულამდე გადიდდა და მომავალი წლის განმავლობაში გაორკეცებულ იქნება. ემერიმ აღნიშნა, რომ 60 ათასამდე ინდოელი ჯარისკაცი უკვე ასრულებს სამხედრო სამსახურს ახლო და შორეულ აღმოსავლეთში და რომ სწრაფად დიდდება ინდოეთის სამხედრო - საჰაერო ფლოტიც.

## ინდოეთის საკანონმდებლო კრებაში

**ლონდონი,** 21 ნოემბერი (საკდესი). ინდოეთის საკანონმდებლო კრებამ უარჰყო მთავრობის მიერ წამოყენებული ახალი საფინანსო კანონპროექტი. ლონდონში გამოირკვა, რომ მუსლიმანების ლიგამ კენჭისყრის დროს თავი შეიკავა. კანონპროექტის განხილვა 6 დღეს გაგრძელდა. ფიქრობენ, რომ კონგრესისტ-დეპუტატთა ჯგუფმა ხელი აიღო საკანონმდებლო კრების ბოიკოტზე სპეციალურად იმისათვის, რომ დებატებში მონაწილეობა მიეღოს. კონგრესისტ-დეპუტატთა ჯგუფის ლიდერმა ბჰულაბჰაი დესაიმ განაცხადა, რომ კონგრესის აზრით, ინდოეთს ომი არ ესაჭიროება, თუ ომი მიზნად ისახავს მოგებათა და პრივილეგიათა არსებული სისტემის შენარჩუნებასო.

## მთავრობის სამხედრო დაკვეთები ამერიკის შეერთებულ შტატებში

**ნიუ-იორკი,** 21 ნოემბერი (საკდესი). როგორც გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნელი" იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის კომიტეტმა ცნობები გამოაქვეყნა, რომელთა თანახმადაც ამ წლის ოქტომბრის დამლევისათვის სამხედრო და საზღვაო სამინისტროებს ამერიკის მრეწველობისათვის გადაცემული აქვთ 7,5 მილიარდ დოლარზე მეტი დაკვეთა. აქედან 3.232 მილიონი დოლარის დაკვეთა გადაეცა გემთმშენებელ ქარხნებს, 1.502 მილიონი დოლარისა შეკვეთილია თვითმფრინავები, 1.238 მილიონი დოლარისა — საჭურველი, 841 მილიონი დოლარისა—სხვადასხვა მასალა და 840 მილიონი დოლარისა სხვადასხვა მოწყობილობა.

## ამერიკის არმიის რიცხვის გადიდება

**ნიუ-იორკი,** 21 ნოემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ სამხედრო სამინისტროს განზრახული აქვს ამერიკის კონგრესის შემდეგ სესიას თხოვნით მიმართოს, რათა დამატებით გამოჰყოს 5 მილიარდი დოლარი 3 მილიონი ჯარისკაცისაგან შემდგარი არმიის შესაქმნელად. არსებული ცნობების თანახმად, დასახულია გეგმები, რომლებიც ითვალისწინებენ 2 მილიონი კაცის შეიარაღებას 1942 წლის 30 ივნისამდე. თუ საჭირო გახდა, ამ დროისთვის გეგმის შესაბამისად შეიძლება შეიარაღებულ იქნას კიდევ 1 მილიონი კაცი.

სააგენტოს სიტყვით, გენერალმა მარშალმა აღნიშნა, თუ დასავლეთ ნახევარსფეროში ომი დაიწყო, ამერიკის შეერთებული შტატების არმიამ 3-4 მილიონ კაცს უნდა მიაღწიოსო.

## ფრანგების ევაკუაცია ლორენიდან

**კლერმონ-ფერანი,** 21 ნოემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პარიზელმა წარმომადგენელმა დე ბრინომ ლავალს გადასცა ლორენის სამოქალაქო სამმართველოს უფროსის ბიურკელის ცნობა იმის შესახებ, რომ მოზელის (ლორენი) დეპარტამენტიდან ფრანგი მოსახლეობის ევაკუაცია 21 ნოემბერს შესწყდება.

## საომარი მოქმედება ჩინეთში

ჩრდილოეთ ჩინეთში იაპონიის სარდლობამ კვლავ დაიწყო პარტიზანული რაიონის წინააღმდეგ შეტევა ხებეის, შანსისა და ჩახარის პროვინციების საზღვარზე. იაპონელთა ცნობებით, 10 დღის წინათ დაწყებული შეტევის შედეგად იაპონიის ჯარმა დაიკავა ქალაქი ფუპინი, რომელიც მდებარეობს 70 კილომეტრზე შიძაჯუანის ჩრდილოეთ-დასავლეთით.

სამხრეთ ჩინეთში არავითარი არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

სხვა ფრონტებზე არსებული მდგომარეობის შესახებ ცნობები არ არის.

21 ნოემბერი (საკდესი).

## მოკლე ცნობები

⊙ ბულგარეთის პრესა ფართოდ აშუქებს ლ. ნ. ტოლსტოის გარდაცვალების 30 წლისთავს. გაზეთები აქვეყნებენ სტატიებს, ნარკვევებსა და მოგონებებს დიდი რუსი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. გაზეთი „ლიტერატურენ გლასი" თითქმის მთლიანად მიძღვნილია წლისთავისადმი.

⊙ ლონდონში ინგლისისა და ამერიკის ექსპერტებს შორის გაიმართება მოლაპარაკება ტექნიკურ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია შეერთებული შტატებისათვის ბაზების დათმობასთან. ნიუფაუნდლენდის და ბერმუდის კუნძულების ხელისუფალთ წინადადება მიეცათ დანიშნონ თავიანთი დელეგატები მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად.

⊙ ამერიკის საავტომობილო კომპანიები, მთავრობისა და ინგლისის დაკვეთებთან დაკავშირებით, იწყებენ საავიაციო მოტორების დამზადებას. ფორდის კომპანია შეუდგა ქარხნის აგებას, რომელმაც უნდა დაამზადოს 4 ათასი მოტორი. პაკარდის კომპანია აშენებს ქარხანას 6 ათასი მოტორის დასამზადებლად ინგლისისათვის და 3 ათასი მოტორისა—ამერიკის მთავრობის დაკვეთით.

21 ნოემბერი (საკდესი).

ერევანი. სამხრეთის პროსპექტის ხედი.

### საბჭოთა მუსიკის დეკადა

# პირველი კონცერტი

20 ნოემბერს საქ. ფილარმონიაში გაიმართა საბჭოთა მუსიკის დეკადის პირველი კონცერტი. ამ კონცერტის პროგრამაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა დაეთმოს კომპოზიტორ შალვა მშველიძის სიმფონიურ პოემას „ზვიადაური", როგორც ახალს და უაღრესად საინტერესო მუსიკალურ მოვლენას.

შ. მშველიძეს შემოქმედებითი ასპარეზზე გამოსვლისთანავე ახასიათებდა მჭიდრო კავშირი ქართულ ხალხურ, განსაკუთრებით მთიელთა მუსიკასთან, რომელსაც იგი მთელი თავისი არსებით შეიგრძნობს. საკმარისია მოვიგონოთ მისი „ფშაური", „თუშის ქალები", „გახა წიკლაური" და სხვ., რომ ამაში ადვილად დავრწმუნდეთ. გარდა ამისა, მან თავიდანვე საკუთარი, განსხვავებული მუსიკალური ენა გამონახა, რაც შემოქმედის უდიდეს ღირსებას შეადგენს.

შ. მშველიძის სიმფონიური პოემა „ზვიადაური" შთაგონებულია ვაჟა-ფშაველას უკვდავი პოემით „სტუმარ-მასპინძლობით". ვაჟას მომაჯადოებელი პოეტური სახეები, ვაჟკაცური ლირიკა, განუმეორებელი მომხიბლაობითა და მუსიკალობით გაჟღენთილი პოეზია შესატყვის გამოხატულებას მოითხოვდა მუსიკაში. კომპოზიტორმა სწორად და მაღალ მოთხოვნილებათა მიხედვით გადასწყვიტა რთული ამოცანა. მან შესძლო ისეთი მუსიკალური ინტონაციების გამონახვა და მოხდენილად გამოყენება, რომ მის „ზვიადაურში" ნათლად მოსჩანს პოემის მთავარ გმირთა სახეები და მათი განცდები, ხევსურეთის ამაყი და მრისხანე ბუნების კოლორიტი და ქართული მუსიკალური სტიქიის მძლავრი სუნთქვა. უკვე სიმფონიური პოემის შესავალი იპყრობს მსმენელის ყურადღებას, რაც მიუხედავად ნაწარმოების სიდიდისა, თანდათანობით ძლიერდება და ცხოველდება. ოსტატურად გადმოცემულ ქისტ ჯოყოლას თემას მოჰყვება ხევსურ ზვიადაურის თემა, რომლის შესრულებაში კლარნეტისტი გამბარიანი არ ჩამოუვარდება წინა თემის შემსრულებელ გამოჩენილ ჰობოისტ ხარიტონოვს. „ზვიადაურის" ყველაზე ძლიერ და მოხდენილ ადგილებად უნდა ჩაითვალოს პირველი და მეორე ეპიზოდი—ჩონგური და მოხუცი ქისტის სიმღერა, აგებული ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა სიმღერების ბუნების მიხედვით, ზვიადაურის შეპყრობისა და მოკვლის ეპიზოდი, ხორალი, ხევსურთ ბრძოლა და გრანდიოზული ფინალი. ფინალში კომპოზიტორმა განსხვავებით ვაჟას პოემის დასასრულისა, განამტკიცა ქისტისა და ხევსურის ძმობის, მეგობრობის იდეა, რამაც ბრწყინვალე საზეიმო ხასიათი მიიღო. ნაწარმოებს ესაჭიროება ერთგვარი დახვეწა მთელი რიგი ადგილების შემცირებისა და გაფორმების მხრივ, რასაც კომპოზიტორი ადვილად დასძლევს სულ მოკლე დროში. საზოგადოდ კი შ. მშველიძის „ზვიადაური" ავტორის უდაო ნიჭისა და მაღალი ოსტატობის, მისი შემოქმედებითი ზრდისა და ახალ ფართო მუსიკალურ ასპარეზზე გაბედულად გამოსვლის მაჩვენებელია. ეს ნაწარმოები ამავე დროს წარმოადგენს მნიშვნელოვან მხატვრულ მოვლენას ქართულ სიმფონიურ მუსიკაში. „ზვიადაური" საპატიო ადგილს დაიკავებს როგორც ეროვნულ, ისე საკავშირო სიმფონიური მუსიკის ლიტერატურაში.

კომპ. შ. მშველიძე

„ზვიადაურის" წარმატებით ჩატარებაში დიდი როლი ითამაშა დირიჟორმა შ. აზმაიფარაშვილმა, რომელიც ეტყობა ღრმად ჩასწვდა ნაწარმოების მუსიკალურ ბუნებას, გულწრფელად გაიზიარა იგი და გულმოდგინეთ შეისწავლა და ამიტომაც დამაჯერებლად შესრულა ეს რთული ნაწარმოები.

დირიჟორთან ერთად თავი ისახელა ფილარმონიის ორკესტრმაც, რომელმაც დაამტკიცა, რომ იგი დიდ მხატვრულ შესაძლებლობათა მქონე ორგანიზმია. საჭიროა მხოლოდ სისტემატური მუშაობა ამ ძლიერ მხატვრულ კოლექტივთან.

შ. აზმაიფარაშვილის „ყვარლის მთებს", ილია ჭავჭავაძის მიხედვით, ძირითადად ახასიათებს ლირიკულობა და ელეგიური ფიქრიანობა, აგებული კახური სიმღერების ჰანგებზე, იგი გადმოგვცემს ილიას ლექსის შინაგან განწყობილებას. ეს ნაწარმოები მეტს მოიგებდა, რომ პოეტური ტექსტის შემსრულებელს მსახიობ პ. კობახიძეს, ნაცვლად „თეატრალური პათოსისა" მეტი სისადავე და ლირიკულობა შეეტანა თავის შესრულებაში.

დ. არაყიშვილისათვის ჩვეული ოსტატობით დაწერილია მისი ცნობილი სიმფონიური პოემა „ჰიმნი ორმუზდს". გულთბილად მიიღო დამსწრე საზოგადოებამ მესამე მოქმედება დ. არაყიშვილის ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე". ოპერის მთავარ მომქმედ პირებს ასრულებდნენ საოპერო თეატრის მსახიობები დ. ანდღულაძე, პ. ამირანაშვილი და ე. გოსტენინა. ემოციურად და გამომსახველად შეასრულეს ნინოს პარტია მ. ნაკაშიძემ და ურმული გ. ლომიძემ.

საბჭოთა მუსიკის დეკადის პირველი კონცერტი დიდი წარმატებით ჩატარდა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დეკადის შემდეგი კონცერტებიც დაგვანახვებენ ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების შეურყეველ ზრდას.

**პ. ხუჭუა**

## იშვიათი შემთხვევა მედიცინაში

**სოხუმი,** (საკდესი). 20 ნოემბერს აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სოხუმის ცენტრალურ საავადმყოფოში ოპერაცია გაუკეთეს 38 წლის ავადმყოფს კ. კ.-ს, რომელსაც ჰქონდა მარცხენა მხარის საზარდულ-ჭანჭლის თიაქარი. ოპერაციის დროს თიაქრის პარკუჭში მუცლის არიდან გამოვარდნილ ნაწლავებთან ერთად ამოჩენილ იქნა საშვილოსნო დანამატებითურთ, რომელიც 14 წლის ქალის საშვილოსნოს ოდენა იყო.

საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგემ ექიმმა შარვაშიძემ, რომელმაც ოპერაცია გააკეთა, განაცხადა:

— მამაკაცის თიაქრის პარკუჭში საშოს აღმოჩენა დანამატებითურთ უაღრესად იშვიათი მოვლენაა მედიცინაში და შეიძლება ერთადერთიც. ასეთი შემთხვევები ლიტერატურაში არ არის ნახსენები.

გარეგნული შესახედაობით ავადმყოფი სავსებით გარკვეული მამაკაცის ტიპისაა, ცოლიანია, უშვილო. ოპერაცია წარმატებით ჩატარდა, საშო ამოკვეთილია.

## მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონული საბჭოს სესია

მშრომელთა დეპუტატების ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონული საბჭოს IV სესია გაიხსნება 25 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, გაზეთ „კომუნისტის" კომბინატის კლუბში (ლენინის ქ., № 28).

რაისაბჭოს დეპუტატები შედიან თავიანთი მანდატებით.

**მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.**

## გალაკტიონ ტაბიძის საღამო

დღეს, საღამოს 8 საათზე, ბერიას სახელობის კულტურის სახლში (ვერის ბაღის ქ., № 10) შესდგება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების საღამო.

მოხსენებას გ. ტაბიძის შემოქმედების შესახებ წაიკითხავს ამხ. შ. რადიანი. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები — ა. აბაშელი, ი. გრიშაშვილი, გ. ქუჩიშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ი. ვაკელი, ვ. გორგაძე, ს. კლდიაშვილი, თ. სახოკია, მ. გარიყული, მ. მიქელაძე, იასამანი, ლ. მეტრეველი, ქ. ბობოხიძე, გ. კაჭახიძე, ს. თავაძე, ს. ხიდისთაველი და სხვ.

საღამოზე ლექსებს წაიკითხავს გალაკტიონ ტაბიძე.

საღამოს დასასრულს საკონცერტო განყოფილება.

## მენდელეევის საზოგადოებაში

**23 ნოემბერს,** საღამოს 8 საათზე საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის ქიმიურ კორპუსში (კამოს ქ., № 34) შესდგება მენდელეევის სახელობის ქიმიური საზოგადოების საერთო კრება, რომელზეც პროფ. დ. ქ. ზავრიევი წაიკითხავს მოხსენებებს შემდეგ თემებზე: **„შიგნითური წნევა სითხეში მისი აორთქლების პროცესში"** და **„სულფოალუმინატები, როგორც ბეტონის სასარგებლო შემადგენელი ნაწილი".** ამავე კრებაზე წაკითხული იქნება აგრეთვე ქიმ. მეცნ. კანდ. ა. თ. ოტენის მოხსენება თემაზე: **„კალციუმის ორთოსილიკატების წარმოშობის პირობები იაფი ცემენტების დამზადებისას".**

## პარტკალენდარი

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის სახელობის რაიკომის** საარიცხვო სექტორში სასწრაფოდ უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: ტროფიმე მიხეილის-ძე **ხრულევი,** საქულ სოსოს-ძე **სუკიაშვილი,** გიორგი იოსების-ძე **სარუხანოვი,** პეტრე ივანეს-ძე **სანიკოვი** (სანიკიძე), დავით სეფეს-ძე **მაჭანკალაძე,** გურგენ პეტროსის-ძე **დანელიანი,** მიხეილ ზინობის-ძე **გუდიევი** და ერმილე ანდრიას-ძე **სიგუა.**

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის სახელობის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 2154585, გაცემული იასონ მიხეილის-ძე **სულთანიშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3303750, გაცემული ლევან ალექსანდრეს-ძე **შალამბერიძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომი** აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 3081748, გაცემული აბრამ ნესტორის-ძე **ჭანტურიას** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**გაზ. „კომუნისტის" რედაქციასთან არსებული მუშსოფლკორთა კაბინეტი 23 ნოემბერს თბილისის საორთქლმავლო დეპოს ყოველდღიური კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრებისა და მუშკორთა აქტივისათვის აწყობს კონსულტაციას თემაზე:**

**„კედლის გაზეთი შრომის მაღალი ნაყოფიერებისა და რკინისებური დისციპლინისათვის ბრძოლაში"** (კონსულტანტი ამხ. შ. გვინჩიძე).

**კონსულტაცია შესდგება ნაშუადღევს 5 საათზე დეპოს პარტბიუროს მდივნის კაბინეტში.**

## დღეს თეატრებსა და კინოებში

**თეატრებში:** სახოპერა — „ბახჩისარაის შადრევანი" (მე-9 აბ. მე-3 წარმ.), მუსკომედია—„ნატვრის თვალი", სახკულტურის ქართული თეატრი — „ბრმა მუსიკოსი", გრიბოედოვის სახელობის—„ანა კარენინა".

**კინოებში:** რუსთაველის სახ.—„მუსიკალური ისტორია", დღისით — „ექიმი აიბოლიტი", ოქტომბერი — „მუსიკალური ისტორია", დამკვრელი — „მუსიკალური ისტორია", დღისით — „საჰაერო ფოსტა", კომკავშირელი — „კარო", ლუქსემბურგის სახ. — „მუსიკალური ისტორია", სპარტაკი — „კარო", 26 კომ. სახ. — „ზელიმხანი". კომინტერნი — „ბელა", განთიადი — „უმზითვო პატარძალი", წითელი არმიის სახლი — „მიგდებული ბავშვი", ვოროშილოვის სახელობის კლუბი — „დურსუნ", ნავთლუღის რკინიგზის კლუბი—„უკანასკნელი მასკარადი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ვ. ხატიაშვილი**

---

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო
თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი

| 23 ნოემბერს | 24 ნოემბერს | 26 ნოემბერს |
|---|---|---|
| ბედნიერება | ანრი სეარ | ბედნიერება |

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

24 ნოემბერს დღის წარმოდგენა **კოლმეურნის ქორწინება** დასაწყ. დღის 12 ს.

---

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო
თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი

23 ნოემბერს
მე-2 აბ. მე-5 წარმ.
**გუშინდელნი**

---

### საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწვ. მთ. სამმართველოს მახარაძის აგურის ქარხნის ბალანსი 1940 წ. 1 იანვრისათვის
(ათას მან.)

| | აქტივი | | | პასივი | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებანი | 186 | 1 | საწესდებო ფონდი | 185 |
| 2 | მასალები, ნედლეული და სათბობი | 31 | 2 | სხვადასხვა ფონდები და რეზერვები | 10 |
| 3 | ნახევარფაბრიკატები | 1 | 3 | ანგარიშსწორებანი | 87 |
| 4 | მზა ნაწარმი და საქონელი | 1 | | | |
| 5 | ფულადი სახსრები | 3 | | | |
| 6 | ანგარიშსწორებანი | 31 | | | |
| 7 | მომავალი პერიოდის ხარჯები | 8 | | | |
| 8 | სახსრები კაპ. რემონტზე | 3 | | | |
| 9 | 1939 წ. ზარალი | 18 | | | |
| | ბალანსი | 282 | | ბალანსი | 282 |

### 1939 წლის მოგება-ზარალის ანგარიში (ათას მან.)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ზარალი რეალიზაციით | 7 | 1. ზარალის სალდო | 18 |
| 2. სხვადასხვა ზარალი | 11 | | |
| ბალანსი | 18 | ბალანსი | 18 |

დირექტორი **დონაძე.** მთ. ბუღალტერი **ჭელიძე.**

ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში დამტკიცებულია საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული საშენებლო მასალათა მრეწველობის მთ სამმართველოს უფროსის მიერ 1940 წ. 9/III, ოქმი № 21.

საქ სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთ სამმართველოს მთ. ბუღალტერი ე. **ინწკირველი.**

650

### საქ სარეწაო საბჭოს სხვადასხვა სარეწაოთა კავშირის სისტემაში შემავალ არტელ „მესარკის" დასკვნითი ბალანსი 1940 წ. 1 იანვრისათვის

| აქტივი | | | პასივი | | |
|---|---|---|---|---|---|
| №№ რიგ | მუხლების დასახელება | თანხა მან.—კაპ. | №№ რიგ | მუხლების დასახელება | თანხა მან.—კაპ. |
| 1 | ძირითადი საშუალებანი | 34.230—48 | 1 | ფონდები | 156.922—58 |
| 2 | ნედლეული და მასალა | 179 689—77 | 2 | მოკლევადიანი კრედიტი | 81.400—— |
| 3 | პროდუქცია და საქონელი | 100.902—62 | 3 | ანგარიშსწორება | 60.922—21 |
| 4 | მცირეფასიანი და სწრაფსაცვეთი ინვენტარი | 13.294—99 | 4 | მოგება | 207.311—82 |
| 5 | ფულადი საშუალებანი | 33.055—47 | | | |
| 6 | საშუალებანი ანგარიშსწორებაში | 6.965—32 | | | |
| 7 | განყენებული საშუალებანი | 138.417—96 | | | |
| | ბალანსი | 506.556—61 | | ბალანსი | 506.556—61 |

### მოგებისა და ზარალის ანგარიში

| №№ რიგ | ხარჯები და ზარალი | თანხა მან.—კაპ. | №№ რიგ | შემოსავალი და საერთო მოგება | თანხა მან.—კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სხვადასხვა ხარჯები და ზარალი | 965—36 | 1 | შემოსავალი რეალიზაციით | 205.457—12 |
| | | | 2 | სხვადასხვა შემოსავალი | 2.820—06 |
| | სულ | 965—36 | | სულ | 208.277—18 |
| | მოგება | 207.311—82 | | | |
| | ბალანსი | 208.277—18 | | ბალანსი | 208.277—18 |

ბალანსი დამტკიცებულია საბალანსო კომისიის მიერ 1940 წ. მარტში, ოქმი № 6.

გამგეობის თავმჯდომარე **ტატიაშვილი** მთ. ბუღალტერი **ვარდოსანიძე.**

1179

---

დედა ნატალია, ცოლი ელენე იუწყებიან ინჟინერ
**ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე გრომაშვილის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23/XI 8 ს. ა. ქ. ფედერაციის, 14. გამოსვენება 24/XI 2 ს. კუკიის სასაფლაოზე. 8989

ვალერიან, დომნა, თამარ, ჟორა, ეთერ, მურმან და მედეა ხუნდაძეები იუწყებიან დედისა და ბებიის
**ესმა ქაიხოსროს-ასულ ხუნდაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/XI საჭამიასერზე. 8974

და ეკ. თამარ ფხაკაძე, სიძე მიშა და დისწული ირმა ჩხეიძეები იუწყებიან, რომ 24/XI ქუთაისში გადახდილი იქნება სატყეო ინსტიტუტის სტუდენტის
**შოთა (როკოტა) ფხაკაძის**
სამოქალაქო პანაშვიდი. 230

მშობლები ვარდო, გრიგოლ, დები ქეთო, ნინო, ძმები გოგი, მიშა, რძალი ლიდა ჩიჩუები, დისწული ლილი ჟღენტი იუწყებიან, რომ 24/XI 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
**აკაკი (კუჭუნი) ჩიჩუას**
პანაშვიდი. 8990

რაჟდენ, შალვა ვაჭარიძეები, შალვა, ნადია, აკაკი, ბონდო კუჭუხიძეები და ვასილ სულავა იუწყებიან
**ალექსანდრე თომას-ძე კუჭუხიძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23/XI 8 ს. გამოსვენება 24/XI 3 ს. ყიფიანის, 8. 8992

ბუჟულა მიქელაძე, ვარლამ ჩიქოვანი, ბაბუ, ალე ქავთარაძეები, ბუჟუ კორძაია, კაკილო ახვლედიანი, ბონდო, დიმა დადიანები, ჯ. ჯანჯღავა იუწყებიან
**გრიგოლ არჩილის-ძე ჩიჩუას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/XI ცხაკაიაში. 8983

უახლოესი მეგობრები პ. ბურძგლა, გ. ლაბაძე, ვ. ლომაძე, ნ. სანაძე, თავიანთი ოჯახებით და შ. ხეჩინაშვილი იუწყებიან მეგობრის
**ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე გრომაშვილის**
გარდაცვალებას ქ. სოჩში. 8985

მშობლები ვენერა ყიფიანი, კონდრატი მეტრეველი, ბებია აგრაფინა, ბაბუა ვლადიმერ ყიფიანები შვილებით იუწყებიან, რომ 24/XI, 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია პატარა
**ნანიკო მეტრეველის**
სამოქ. პანაშვიდი. 8986

ქალიშვილი ელენე ლორთქიფანიძისა ქმრით და შვილებით, ვაჟები გიორგი, ილია, დავით, ვარლამ პეტრეს-ძე გეგელაშვილები ოჯახებით იუწყებიან დედის
**მართა გეგელაშვილის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 8 ს. გამოსვენება ბარნოვის, 8. 24/XI 1 ს. კუკიის სასაფლაოზე. 8930

სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის ადმინისტრაცია და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ დავით პეტრეს-ძე გეგელაშვილს მისი დედის
**მართა სიმონის-ასულ გეგელაშვილის**
გარდაცვალების გამო. 8954

ვაკის საბავშვო სახლის მუშა-მოსამსახურეთა მთლიანი კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ამავე საბავშვო სახლის გამგეს არკადი ხუნდაძეს მისი დედის
**ესმა ხუნდაძის**
გარდაცვალების გამო. 8970

საირმის სატყეო მეურნეობის ადმინისტრაცია და პარტორგანიზაცია იუწყებიან მეურნეობის დირექტორ
**კლიმენტი საბას-ძე გიორგაძის**
და ამავე სატყეო მეურნეობის თანამშრომელ
**ალექსანდრე ნატრიაშვილის**
გარდაცვალებას. 8972

ნადეჟდა შვილებით ელენეთი, თამარით, ნინოთი, პეტრეთი, რძლით ნუნუთი, სიძეებით ე. მდივანით, გ. ტუსკიათი იუწყებიან, რომ 24/XI ქუთაისში დანიშნულია
**სამუილ დიმიტრის-ძე**
და
**პავლე სამუილის-ძე ჩიქვინიძეების**
პანაშვიდი. 8975

მშობლები აკაკი, თინა შვილით დოდოთი, მამიდები აველინა, ლამარა, ბაბუა გიორგი, ბებია ელენე, ბიძა ბიქტორ ყორშიები იუწყებიან პატარა
**ნანულის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23/XI 7 ს. გამოსვენება 24/XI 4 ს. ნიკოლაძის I ჩიხი, 7. 8982

და კლავდია, სიძე პიჭიკო ტყეშელაშვილები შვილებით ეთერით, მედიკოთი იუწყებიან სამედიცინო ინსტიტუტის II კურსის სტუდენტის
**ლუბა მოსეს-ასულ ღლონტის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23/XI 7 ს. გამოსვენება 24/XI 4 ს. ალმასიანის 8. 8969

დედა ირინე, მეუღლე ოლღა, შვილები ბორია და გივი იუწყებიან რომ 24/XI 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ექიმ
**ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ხვედელიძის**
სამოქ. პანაშვიდი. 8984

ცოლი მარიამ, შვილები შალიკო, იურა, რძლები მარგარიტა, ტატიანა იუწყებიან, რომ 24/XI 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
**იუსტინე (იუზა) პორფილეს-ძე რევიშვილის**
სამოქალაქო პანაშვიდი. 8965

ანა და თამარ საყვარელიძეები თანაგრძნობას უცხადებენ ელენე პეტრეს-ასულ ლორთქიფანიძეს მისი დედის
**მართა სიმონის-ასულ გეგელაშვილის**
გარდაცვალების გამო. 8980

მეუღლე გიორგი, დედამთილი მართა, შვილი მერაბ ჯავახიშვილები იუწყებიან
**ელენე პეტრეს-ასულ ფურცელაძე-ჯავახიშვილის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23/XI 8 ს. გამოსვენება 24/XI 4 ს. ნუნუს, 5. 8967

ხორცკომბინატის თანამშრომლები ფანცულაია, თელია, ჯოჯუა, კუზნეცოვა, ჩესნოკოვი, ბასმაჯიანი, ზიზენკოვა, იოვაშვილი, ანდრონიკაშვილი, სიმონიძე, ფოცხიშვილი, სტუკალოვა, ავალიშვილი, მელივა იუწყებიან კ. კუპუხიძის მამის
**ალექსანდრეს**
გარდაცვალებას. 8968

მეუღლე საშა სარაული, შვილები ზინიკო და ცაციკო იუწყებიან, რომ 24/XI, 12 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
**ოლია სარაულის**
სამოქ. პანაშვიდი. 8988

მშობლები ვალოდია, ოლია, ბებია, ძმები შალიკო, ელგუჯა იუწყებიან
**კოლია ვლადიმერის-ძე გოგლიძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23/XI 7 ს. გამოსვენება 24/XI 4 ს. ძერჟინსკის, 12. 8976

მშობლები საშა, მანია, ბიძა თედო, ბიცოლა კატო, და ვენერა დუნდუები იუწყებიან, რომ 24/XI 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
**ნონა დუნდუას**
სამოქ. პანაშვიდი. 8987

თბილისის სახ. ფიზკულტურის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება უდიდესი საბჭოთა მეცნიერის, აკადემიკოს
**ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის**
გარდაცვალებას. 8977

მე-25 საშუალო სკოლის ადმინისტრაცია და პედპერსონალი ღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ აკადემიკოს
**ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის**
გარდაცვალების გამო. 8960

ჯ. რუხაძე, ნ. უგრელიძე, ნ. გამყრელიძე, მ. ქორიაშვილი, ო. შვანგირაძე, ა. ბენდუქიძე, ვ. გორდაძე, შ. დანელია, დ. მელუხა, მ. ძანაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნათელას მისი მამის, აკადემიკოს
**ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის**
გარდაცვალების გამო. 8978

საქართველოს შინსახკომის ცენტრალური საისტორიო არქივი მწუხარებით იუწყება საბჭოთა საისტორიო მეცნიერების უდიდესი მოღვაწის, აკადემიკოს
**ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის**
გარდაცვალებას. 8979

შვილები მარო, ვალენტინა, გიგა, ილია, ალექსი, დიმიტრი ოჯახებით იუწყებიან, რომ 24/XI 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
**ნიკო გრიგოლის-ძე ღლონტის**
სამოქალაქო პანაშვიდი. 8864

ცოლი ნინო, შვილები თამაზ და ცისანა იუწყებიან, რომ 24/X.I 2 ს. ცხაკაიაში დანიშნულია
**გრიგოლ (გრიშა) სპირიდონის-ძე ჩიტაიშვილის**
სამოქ. პანაშვიდი. 8966

ბიძა ამბროსი კინწურაშვილი ოჯახით იუწყება
**ვალერიან იუსტეს-ძე ჯანელიძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 23/XI ს. კინჩხაში. 8981

საქკურორტტყის სამმართველო იუწყება საირმის სატყეო მეურნეობის დირექტორის
**კლიმენტი საბას-ძე გიორგაძის**
და ამავე სატყეო მეურნეობის თანამშრომელ
**ალექსანდრე ნატრიაშვილის**
გარდაცვალებას. 8972

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61; პროპაგანდის 3—81—84, სასოფლო - სამეურნეოს — 3—73—40, ეკონომიურისა და განათლება ჯანმრთელობის — 3 80 83 ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის— 3—80—84, წერილების — 3—73—24, პ-მგ მორიგისა და გამომშვების 3 81 65. გამომცემლობის ს—51—81. სტამბის დირექტორის— 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. 1 უე 3488